დანართი №3

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ენ დი აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გვანცა პაკატილოვი

წევრები: მიმოზა ღოლიჯაშვილი

დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ენ დი აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი:443876548

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 18 მაისის N587495 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ენ დი აკადემიაში, დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 27,28 და 29 მაისს განხორციელდა ვიზიტი შპს ენ დი აკადემიაში (მის:ქ. თბილისი, დავით სარაჯიშვილის N35ა.). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფი გასცემდა უკუკავშირს ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, დავით სარაჯიშვილის N35ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს „ენ დი“ აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების ფარგლებში აღსანიშნავია საგანმანათლებლო პროცესის მჭიდრო ინტეგრაცია რეალურ სამუშაო გარემოსთან. აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციაა ჯეო ინსპექტი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ და მემორნადუმი დასაქმების შესახებ. კომპანია ფლობს სამუშაო აღჭურვილობისა და მზომი ხელსაწყოების გამოყენებისა და გაზომვის შესაბამის შესაძლებლობებს, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო პროცესში გაეცნონ და პრაქტიკულად გამოიყენონ შრომის უსაფრთხოების სფეროში რეალურად გამოყენებადი ხელსაწყოები და ტექნოლოგიები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით განხორციელდა აკადემიის სასწავლო და სამუშაო გარემოს მავნე ფიზიკური ფაქტორების შეფასება, მათ შორის: შეფარდებითი ტენიანობის, ტემპერატურის, ჰაერის მოძრაობის სიჩქარის, განათებისა და ხმაურის გაზომვა. ჩატარებული კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ აკადემიაში არსებული გარემო შეესაბამება დადგენილ ნორმებს, რაც პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

სტუდენტებისა და პერსონალისათვის უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს.

ამასთანავე, აკადემიამ საკუთარი ინიციატივით და დამატებითი ინვესტირების გზით შეიძინა ისეთი მატერიალური რესურსები, რომლებიც ჩარჩო დოკუმენტით სავალდებულოდ განსაზღვრულ ჩამონათვალში არ შედის, თუმცა მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესის ხარისხსა და პრაქტიკულ ღირებულებას. მათ შორისაა: კუთხსახეხი, მინი ცირკული ხერხი, რადიაციის მზომი დოზიმეტრი, რადიაციისგან დამცავი საყელო და ხალათი, სიმულაციური ამწე და ფუნქციური მანეკენი. აღნიშნული რესურსების ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, განივითარონ პრაქტიკული უნარები თანამედროვე და რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში.

აკადემიის მიერ რეალური სამუშაო გარემოსთან თანამშრომლობა, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით გარემო ფაქტორების სისტემური შეფასება და ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მიღმა დამატებითი მატერიალური რესურსების მობილიზება წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებასა და ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფას.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

- ინდიკატორი 5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით-დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (23.03.2026-23.08.2026) შენობის ყველა სართული უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობის სისტემით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- ინდიკატორი 5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები- დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(23.03.2026-23.08.2026) წარმოადგენს დასკვნას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- ინდიკატორი 5.1.2.4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.05.2026-23.08.2026) უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობაზე,მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო კამერების სისტემის მოწყობას.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს ენ დი აკადემიის მიერ წარმოდგენილი კორესპონდეციით (2026 წლის 24 ივნისის წერილი N11960) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.**პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

შპს „ენ დი აკადემია“ ბაზარზე 2025 წლის 17 ნოემბერს გამოჩნდა, თუმცა მის დაფუძნებას საფუძვლად დაედო გუნდის მრავალწლიანი, წარმატებული პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო მიმართულებით. ორგანიზაციის სტრატეგიული მისია შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე მყისიერი რეაგირება და მაღალკვალიფიციური, პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული კადრების მომზადებაა. აკადემია ორიენტირებულია ისეთი ინოვაციური სასწავლო ეკოსისტემის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას და პირდაპირ კავშირს ამყარებს პროფესიულ მომზადებასა და რეალურ ბიზნეს-გარემოს შორის. დამსაქმებლებთან მჭიდრო პარტნიორობისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვით, „ენ დი აკადემია“ ხელს შეუწყობს სტუდენტების სწრაფ, ეფექტურ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე და რეალურად გაზრდის მათ დასაქმების პოტენციალს.
შპს ,,ენ დი აკადემიის“ მისია ჟღერს შემდეგნაირად: „შპს ,,ენ დი_აკადემია“ არის მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი სასწავლო და სამუშაო პირობების შექმნა, ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. მოამზადოს პროფესიული უნარებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიცირი, მრავალპროფილური მიმართულების მქონე სპეციალისტები, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მისიის შემუშავებისას აკადემიამ გაიაზრა აკადემიის როლი, თუნდაც მცირე, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების (ა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; ბ. სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; გ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, დ. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა) შესრულებაში. აკადემიის მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ისეთ მიზნებთან, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.1.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.
დაწესებულების მისიაში დეკლარირებული ფართო პროფილი ხაზს უსვამს აკადემიის გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებულობასა და მოქნილობას. საგანმანათლებლო ჩარჩოებისა და შეზღუდვების არარსებობა ზრდის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და სტუდენტებს აძლევს სასურველი მიმართულების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. აღნიშნული მიდგომა სრულად პასუხობს შრომის ბაზრის დინამიკურ მოთხოვნებს, რაც აკადემიას საშუალებას მისცემს, დამსაქმებლებს შესთავაზოს მრავალფეროვანი, აქტუალური პროგრამები და, შესაბამისად, ეფექტურად შეუწყოს ხელი კურსდამთავრებულთა შემდგომ დასაქმებას.
აკადემიის მისიიდან გამოკვეთილია საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: აკადემია წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების ხედვაა: „აკადემიის ხედვაა 2032 წლისათვის ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინსტიტუციურად მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც უპასუხებს შრომის ბაზრის გამოწვევებსა და კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო სივრცეში დაიმკვიდებს ღირსეულ ადგილს; “ აკადემია იხელმძღვანელებს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინტერესებით, მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნების მისაღწევად და შესაბამისად, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას აპირებს განახორციელოს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

1.ხარისხი და პროფესიონალიზმი - ყველა პროცესი ხორციელდება დადგენილი სტანდარტებისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე.

2. მოქნილობა და ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის თანასწორობის პრინციპის დაცვით.

3. პარტნიორობა და სექტორული ჩართულობა - პროგრამების დაგეგმვა და განახლება ხორციელდება შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

4. ინკლუზიურობა და თანასწორობა - აკადემია უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოს.

5. უწყვეტი გაუმჯობესება - სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. საინფორმაციო გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია, როგორც დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში (Facebook), ისე თვალსაჩინო ადგილას, უშუალოდ აკადემიის შენობაში.კოლეჯის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სხვადასხვა არხით:

ვებ-გვერდი: განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ndacademy.ge);
სოციალური ქსელები: განთავსება სოციალური ქსელების მთავარ გვერდზე;
ბეჭდური მასალა: განთავსება კატალოგში;
შიდა სივრცე: განთავსება კოლეჯის შიდა სივრცეში (თვალსაჩინო ადგილზე), რაც უზრუნველყოფს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას.

ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს, როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე დაინტერესებული ნებისმიერი მხარეებისთვის. აკადემიის შესახებ საინფორმაციო კატალოგი განთავსებულია აკადემიის ვებგვერძე, სადაც დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ სხვა მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად სტუდენტებისთვის (დაშვების წინაპირობა, ინფორმაცია პროგრამის შესახებ, დასაქმების შესაძლებლობა, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა).

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ 2026 წლის 13 იანვრის ბრძანება № 2/05 შ.პ.ს. „ND აკადემიის " დირექტორის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ✓ შპს „ენ დი აკადემიის " მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის 15.01.2026 წლის ოქმი № 1;
- ✓ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია "- დამტკიცებული დირექტორის 12.01. 2026 წლის N2/03 ბრძანებით;
- ✓ 2026-2032 წწ. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - დამტკიცებული შ.პ.ს. „ენ დი აკადემიის" დირექტორის 16.01.2026 N2/06 ბრძანებით;
- ✓ აკადემიის ვებგვერდი (ndacademy.ge)

- ✓ გასაუბრების შედეგები;
- ✓ ადგილზე დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

აკადემიის სტრატეგიული მართვისა და ინსტიტუციური განვითარების საფუძველს წარმოადგენს აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 იანვრის №2/03 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტით დაწესებულება ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, რაც სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს. მეთოდოლოგია დეტალურად არეგულირებს გეგმების განხილვის, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებისა და მონიტორინგის პროცედურებს. ინსტიტუციური განვითარების საწყის ეტაპზე, თანამშრომელთა აქტიური ჩართულობითა და SWOT ანალიზის საფუძველზე, ორგანიზაციის მისიასთან შესაბამისობაში უკვე შემუშავებულია 2026–2032 წლების სტრატეგიული და 2026 წლის სამოქმედო გეგმები. ვინაიდან აკადემია ავტორიზაციის მოპოვების ეტაპზეა და ჯერ არ ფუნქციონირებს, წესის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია, თუმცა დოკუმენტურად განსაზღვრული 7 წელიწადში ერთხელ დაგეგმვის ციკლი, ისევე როგორც მონიტორინგის ორეტაპიანი (შუა ეტაპზე და დასრულებამდე 6 თვით ადრე) ანგარიშგების მექანიზმი, ქმნის მყარ საფუძველს პროცესის ხარისხის უწყვეტი ამაღლებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის (დამტკიცებული დირექტორის 12.01.2026 წლის №2/03 ბრძანებით) ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება განსაზღვრულია როგორც გუნდური და თანამონაწილეობითი პროცესი. მეთოდოლოგიის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების თანახმად, პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით შექმნილ სპეციალურ სამუშაო ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტებულია შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის: აკადემიის დირექციის, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების/დამსაქმებლებისგან, რაც უზრუნველყოფს როგორც ქვეყნის, რეგიონისა და თემის პრიორიტეტების, ისე დაინტერესებული მხარეების მოლოდინების იდენტიფიცირებასა და ასახვას სტრატეგიულ მიზნებში. პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, დოკუმენტი ითვალისწინებს შემუშავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

პროექტების გაზიარებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის (ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები და შეხვედრები) გამოყენებით.მეთოდოლოგიის მე-2 და მე-5 მუხლებით მკაფიოდაა გაწერილი ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის მექანიზმები: აკადემია ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს — მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ (შუა ეტაპზე და დასასრულს) და უზრუნველყოფს მათ საჯაროობას ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით. გარდა ამისა, წესი დეტალურად ფარავს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. შესწავლილი დოკუმენტის ანალიზი ადასტურებს, რომ წარმოდგენილი მარეგულირებელი ჩარჩო სრულად ითვალისწინებს თანამონაწილეობის, თემსა და რეგიონზე ორიენტირებულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს და ქმნის ინსტიტუციური განვითარების მყარ საფუძველს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფიელბულია;

3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დაწესებულებამ წარმოდგინა დირექტორის 16.01.2026 წლის N2/05 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2032 წლების 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და დირექტორის 16.01.2026 წლის N2/06 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
აკადემიის სტრატეგიული გეგმის თითოეულ სტრატეგიულ მიზანს გააჩნია თავისი ამოცანები, ხოლო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანების აქტივობები და შესრულების მაჩვენებელი/ინდიკატორები, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, ჩართული მხარე და რისკები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისიასთან თავსებადი 5 სტრატეგიული მიზანი, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აკადემიის იდენტობასთან, მისია/ხედვასთან. მიზნები ფარავს: განათლების ხარისხის განვითარებას, ინსტიტუციურ განვითარებას , რესურსების/სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებას.
აკადემიის სტრატეგიული მიზნებია:

1. კოლეჯის ინსტიტუციური განვითარება;
2. საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება;
3. ადამიანური რესურსების განვითრება;
4. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენე ლთა და კურსდამთავრებულ თა მხარდაჭერის სისტემის განვითარება;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგა/განვითარება;

მეთოდოლოგიის შესაბამისად, თითოეული სტრატეგიული მიზანი დაგეგმილია SMART კრიტერიუმების (კონკრეტულობა, გაზომვადობა, მიღწევადობა, რელევანტურობა და დროში გაწერილობა) გათვალისწინებით და მათ მისაღწევად მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამისი ამოცანები, განხორციელების ვადები წლების მიხედვით, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს შორის ლოგიკურ კავშირს და მოიცავს სტანდარტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

მოთხოვნილ ყველა აუცილებელ კომპონენტს: კონკრეტულ აქტივობებს, შესრულების ვადებს, გაზომვად ინდიკატორებს, მტკიცებულებებს, პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს სრულ მზაობასა და შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ 2026 წლის 13 იანვრის ბრძანება № 2/05 შ.პ.ს. „ენ დი აკადემიის " დირექტორის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ✓ შპს „ენ დი აკადემიის " მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის 15.01.2026 წლის ოქმი № 1;
- ✓ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია "- დამტკიცებული დირექტორის 12.01 2026 წლის N2/03 ბრძანებით;
- ✓ 2026-2032 წწ. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - დამტკიცებული შ.პ.ს. „ენ დი აკადემიის " დირექტორის 16.01.2026 N2/06 ბრძანებით;
- ✓ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია" -დამტკიცებული დირექტორის 12.01 2026 წლის N2/03 ბრძანებით;
- ✓ 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2032 წწ.);
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2026 წ.).
- ✓ აკადემიის ვებგვერდი (ndacademy.ge);
- ✓ გასაუბრების შედეგები;
- ✓ ადგილზე დათვალიერება.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

აკადემიის დირექტორის 12.01.2026 წლის N2/03 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ (მე-12, მე-13, მე-14 მუხლები) ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო, ლოგიკური და სისტემური მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს დირექტორის მოადგილე, ხოლო უშუალო მონიტორინგს ახორციელებს სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეხვედრებისა და წერილობითი ანგარიშების წარმოდგენის მეთოდით. მეთოდოლოგია დეტალურად აწესრიგებს პროცედურულ ვადებს, კერძოდ: სამუშაო შეხვედრების შესახებ წევრებს ეცნობებათ 2 კვირით ადრე, ხოლო პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან შეხვედრამდე 1 კვირით ადრე წარადგინონ წერილობითი ანგარიშები ფაქტობრივი გარემოებების აღწერითა და მტკიცებულებების მითითებით. სამუშაო ჯგუფი გეგმების შესრულების მიმდინარეობას განიხილავს და სპეციალურ ფორმებში აქტივობებს/ამოცანებს ანიჭებს სტატუსებს („შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“).

მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს მონიტორინგის პერიოდულობასა და ანგარიშგების ხაზს: სამოქმედო გეგმის ანგარიში მზადდება წელიწადში ორჯერ (შუა ეტაპზე და ამოწურვამდე 1 თვით ადრე), რათა შედეგები აისახოს მომდევნო წლის გეგმაში, ხოლო სტრატეგიული გეგმის ანგარიში ასევე ორჯერ (შუა ეტაპზე და დასრულებამდე 6 თვით ადრე) - ახალი ციკლის დაგეგმვის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი; კერძოდ, მეთოდოლოგიის თანახმად, აკადემია უფლებამოსილია ანგარიშები გაამდიდროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუებით, სტატისტიკური მონაცემებითა და ფოტომასალით. მომზადებული ანგარიშები წარედგინება დირექტორს შემდგომი რეკომენდაციების გასაცემად და საჯაროვდება აკადემიის ვებგვერდზე და სხვა საკომუნიკაციო არხებით.

ვინაიდან აკადემია ავტორიზაციის მოპოვების ეტაპზეა და ჯერ არ ფუნქციონირებს, აღნიშნული მონიტორინგისა და შეფასების სისტემის პრაქტიკაში რეალიზება და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა, დოკუმენტური ანალიზი და პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს, რომ წარმოდგენილი მარეგულირებელი წესი სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს ხარისხის მართვის „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის პრინციპს და ქმნის მყარ საფუძველს გეგმების შემდგომი ეფექტიანი კონტროლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.2.2.1. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ (დამტკიცებული დირექტორის 12.01.2026 წლის N2/03 ბრძანებით) ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულებას დოკუმენტურ დონეზე მკაფიოდ აქვს განსაზღვრული შეფასების შედეგებზე სათანადო რეაგირების მექანიზმები. მეთოდოლოგიის მე-12 მუხლის თანახმად, შეფასება გულისხმობს შეგროვებული მონაცემების ანალიზს და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას, რასაც აკადემია იყენებს ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. ამავე მუხლის მე-7 პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. გარდა ამისა, მეთოდოლოგიის მე-14 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, მონიტორინგის ანგარიშების განხილვის შედეგად, აკადემიის დირექტორი უფლებამოსილია გასცეს სავალდებულო რეკომენდაციები შემდგომ პერიოდში გასათვალისწინებლად და პროცესების კორექტირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ვინაიდან აკადემია ავტორიზაციის მოპოვების ეტაპზეა და ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება, შეფასების შედეგებზე რეალური რეაგირების პრაქტიკული მაგალითები (აქტივობების კორექტირება, რესურსების გადაანაწილება და ა.შ.) ამ ეტაპზე ბუნებრივია ვერ იარსებებს. თუმცა, წარმოდგენილი მარეგულირებელი ჩარჩო და პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს, რომ აკადემიას გააზრებული აქვს რეაგირების მნიშვნელობა, შექმნილი აქვს ცვლილებებისა და რეკომენდაციების გაცემის სამართლებრივი საფუძველი, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მზაობას - ფუნქციონირების დაწყებისთანავე სათანადოდ უპასუხოს შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს.

ექსპერთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.2.2.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმები ინსტიტუციურ დონეზეა მოწესრიგებული და გაწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში. კერძოდ, აკადემიის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგა“ -ს მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, შემუშავებული სამოქმედო გეგმა, მისი გასაჯაროების მიზნით, სავალდებულო წესით თავსდება აკადემიის ვებგვერდზე და ვრცელდება დოკუმენტის (მე-2 მუხლით - სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი მიდგომები: ანგარიშვალდებულება - აკადემია ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ - შუა ეტაპზე და დასასრულს, ამასთან უზრუნველყოფს მის საჯაროობას აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.) განსაზღვრული გამჭვირვალობის პრინციპის შესაბამისად.
თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი შეფასების ინდიკატორი სრულ თანხვედრაშია აღნიშნულ შიდა დოკუმენტურ მოთხოვნასთან. დაწესებულება სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოქვეყნებით რეალურად უზრუნველყოფს მარეგულირებელი წესით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რაც გარანტიას ქმნის დაინტერესებული მხარეების (პერსონალი, სტუდენტები, პარტნიორები) დროული ინფორმირებულობისა და ინსტიტუციის საქმიანობის ღიაობისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 1.2.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ 2026 წლის 13 იანვრის ბრძანება № 2/05 შ.პ.ს. „ენ დი აკადემიის “ დირექტორის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- ✓ შპს „ენ დი აკადემიის “ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის 15.01.2026 წლის ოქმი № 1;
- ✓ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია “- დამტკიცებული აკადემიის დირექტორის 12.01 2026 წლის N2/03 ბრძანებით;
- ✓ 2026-2032 წწ. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2026) დამტკიცებული შ.პ.ს. „ენ დი აკადემიის“ დირექტორის 16.01.2026 N2/06 ბრძანებით;
- ✓ აკადემიის ვებგვერდი (ndacademy.ge);
- ✓ ადგილზე დათვალიერება;
- ✓ გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, აგრეთვე სასწავლო პროცესის გამჭვირვალობა და სტაბილურობა რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (19.01.2026 N2/07 ბრძანება); აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის სრულ ციკლს, კერძოდ: სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს (მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა ; მუხლის 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა); მიღებული განათლების აღიარებისა და პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურებს (მუხლი 4. შიდა და გარე მობილობა). ამასთანავე, წესით განსაზღვრულია სტუდენტზე ორიენტირებული გარანტიები, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები); დოკუმენტი ასევე მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას (მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა), პროგრამების განხორციელების ფორმატსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა არსებით საკითხებს, რაც ქმნის სტუდენტის უფლებების დაცვის მყარ სამართლებრივ საფუძველს.

აკადემიის შიდა რეგულაციებისა (აკადემიის დირექტორის 20.01.2026 N2/08 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებები და ვალდებულებები“- მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია) და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტისთვის გარანტირებულია შემდეგი უფლებები:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება, უწყვეტი კარიერული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
ბ) მიიღოს სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
გ) მონაწილეობა მიიღოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ინიცირებაში კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით;
დ) მიიღოს განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
ე) იცნობდეს და იყენებდეს მის უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
ვ) ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო;
ზ) თავისუფლად გამოთქვას აზრი ნებისმიერ საკითხზე და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
თ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
ი) გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება;
კ) მოითხოვოს მოდულის/სწავლის შედეგის ობიექტური შეფასება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მიხედვით;
ლ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის (ცხრილის), სწავლის შედეგების შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ;
მ) პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებების დაცვის ნაწილში ისარგებლოს აკადემიის მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციებით;
ნ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ო) დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს დისციპლინურ წარმოებაში აკადემიის მიერ შემუშავებული „დისციპლინური წარმოების წესის“ თანახმად;
პ) მიიღოს ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ (შესაბამისი გარემოების შემთხვევაში).
კოლეჯი აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ დაცული და გამჭვირვალე სასწავლო გარემო, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და წარმატებულ კარიერულ გზას.

სტუდენტების უფლებების დაცვის გარანტიები ფორმალურად არის უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით , რომელიც არის იურიდიული დოკუმენტი, სადაც დაფიქსირებულია აკადემიის ვალდებულებები სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართ, რაც წარმოადგენს სტანდარტით მოთხოვნილ დაცვის მექანიზმს. სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, აკადემია გეგმავს პროფესიულ სტუდენტებთან პერიოდული ინტერვიუების ჩატარებას, რათა მუდმივად გამოიკვეთოს მათი შეფასებები კოლეჯის მიმართ.აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით, უზრუნველყოფილი იქნება, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა:

- სათანადოდ გაიცნონ საკუთარი უფლებები;
- სასწავლო პროცესში თავისუფლად შეძლონ თავიანთი საჭიროებებისა და ინტერესების გამოხატვა;
- ნებისმიერი პრობლემის თუ საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლად მიმართონ ადმინისტრაციას და მიიღონ დროული, ეფექტური რეაგირება.

შპს „ენ დი აკადემია“ სათანადოდ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კანონიერი უფლებების დაცვასა და გარანტიებს. აღნიშნული უფლებები განისაზღვრება შიდა რეგულაციებით, ხოლო მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები გაფორმდება თითოეულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენლებტან დასადები ხელშეკრულებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.1.1.1 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
აკადემიის პერსონალთან გასაუბრებისა და დირექტორის 19.01.2026 წლის N2/07 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ანალიზის საფუძველზე დასტურდება დაწესებულების მზაობა პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეფექტური ადაპტაციისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის კუთხით. როგორც აკადემიის თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, ორგანიზაცია ორიენტირებულია სტუდენტზე მორგებული სერვისების განვითარებასა და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გარანტირებულ დაცვაზე. აღნიშნული მიდგომა, თავის მხრივ, ასახულია პერსონალის ფუნქციურ მოვალეობებსა და სამუშაო აღწერილობებში, სადაც კომპეტენციის ფარგლებში პირდაპირ არის გაწერილი სტუდენტებისათვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის ვალდებულება.
არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, აკადემიაში უზრუნველყოფილია სპეციალური საინფორმაციო-საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება. აღნიშნულ შეხვედრებზე სტუდენტები დეტალურად ეცნობიან სასწავლო გარემოს, პროგრამების შინაარსს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

შეფასების სისტემას, პრაქტიკის კომპონენტებსა და შიდაორგანიზაციულ რეგულაციებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთიკისა და ქცევის ნორმებს, უსაფრთხოების წესებსა და პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმებს, რასაც პროფესიული სტუდენტები შესაბამისი ხელმოწერით ადასტურებენ. გარდა ამისა, დაწესებულებაში შემუშავებულია და მოქმედებს ფოტო-ვიდეო გადაღებისთვის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებული თანხმობის მოპოვების მექანიზმი. შესაბამის ხელმოწერების ფურცელზე პროფესიული სტუდენტი (ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) ხელმოწერით აცხადებს თანხმობას ან უარს პერსონალური მონაცემების (ამ შემთხვევაში, ფოტო/ვიდეო მასალის) დამუშავებაზე, რაც ხაზს უსვამს აკადემიის მიერ სტუდენტის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.1.1.2. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

შპს ენ დი აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ სრულად არეგულირებს სტუდენტთა შეფასების სისტემასა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. დაწესებულება ორიენტირებული იქნება ისეთი გამჭვირვალე გარემოს შექმნაზე, სადაც თითოეული პროფესიული სტუდენტი დეტალურად იქნება ინფორმირებული საკუთარი უფლებებისა და შეფასების წესების შესახებ.
შემუშავებული რეგულაციების თანახმად, აკადემიაში ამოქმედდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

1. განმავითარებელ შეფასებას – რომელიც ორიენტირებული იქნება სწავლის შედეგების ათვისების ხარისხის განსაზღვრასა და სტუდენტის მოტივირებაზე (არ აისახება საბოლოო შედეგზე);
2. განმსაზღვრელ შეფასებას – რომელიც გამოიყენებს არადიფერენცირებულ მიდგომას და შეფასდება ფორმულირებით: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგები არ დადასტურდა“. განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა გამოკითხვა (ზეპირი/წერილობითი), პრაქტიკული დავალება და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, აკადემიის პერსონალი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს წინასწარ ეცნობოთ შეფასების პროცესის, დადასტურების პირობებისა და მოთხოვნების შესახებ, რაც სრულად უპასუხებს შეფასების სისტემის 5 ძირითად პრინციპს: ვალიდურობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. აკადემია მკაცრად გააკონტროლებს, რომ განმსაზღვრელი შეფასებები განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ ვალიდირებული ინსტრუმენტებით, რომელთა ფორმალურ და შინაარსობრივ შესაბამისობას (შეფასებამდე 10 დღით ადრე) სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტები შეამოწმებენ.
სისტემის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, მოდულის ყოველი შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გონივრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს გაუჩნდება საფუძვლიანი პრეტენზია მიღებულ შედეგთან დაკავშირებით, იგი უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

გასაჩივრების მექანიზმით და წერილობითი საჩივარი წარადგინოს აკადემიის კანცელარიაში. დოკუმენტი, ოპერატიული რეაგირების მიზნით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს გადაეცემა შესაბამისი მოდულის მასწავლებელს.
სამომავლოდ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აკადემია გეგმავს პროფესიულ სტუდენტებთან პერიოდული ინტერვიუების ჩატარებასა და შეფასების პროცესზე დასწრებას, რათა მუდმივად გადამოწმდეს შეფასების სისტემის ობიექტურობა, გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობა და სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ხელშეკრულების შაბლონები) და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება დაწესებულების სამართლებრივი მზაობა პროფესიულ სტუდენტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგების კუთხით. დაწესებულებას ფორმირებული და მომზადებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში“. აღნიშნული დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ მასში მკაფიოდ არის ასახული და დაცული პროფესიული სტუდენტის უფლებები, მოვალეობები და კანონიერი ინტერესები. ხელშეკრულების შინაარსი თავსებადია მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს მხარეთა შორის პასუხისმგებლობების თანაბარზომიერ გადანაწილებას, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. განსაკუთრებული ყურადღებაა დათმობილი არასრულწლოვან პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკაზე. ხელშეკრულების ნიმუში ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების პროცესში სავალდებულო წესით მონაწილეობს და დოკუმენტს ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი/მეურვე). ხელშეკრულების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით, გამოიყენოს აკადემიის ბიბლიოთეკის რესურსები სასწავლო მიზნებისათვის, დაცული იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, ფიზიკური და მორალური შეურაწყოფისაგან; ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო, მიიღოს აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა და სხვა;
შესაბამისად, წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს და ადასტურებს აკადემიის მზაობას,

სტუდენტთა მიღებისთანავე უზრუნველყოს მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა სამართლებრივად გამართული სახელშეკრულებო მექანიზმით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.1.1.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

5.პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „ენ დი აკადემიის“ დირექტორის 19.01.2026 N2/07 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(მუხლი 12. სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესსა და პროცედურას. შპს ენ დი აკადემია, მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების მოქნილი და ეფექტური მექანიზმების დანერგვას. აკადემია ორიენტირებული იქნება თითოეული პროფესიული სტუდენტისა თუ მსმენელის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე, რათა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს ხარისხიანი განათლება.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს კონკრეტული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ დოკუმენტს, რომელიც დაეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის, პროფესიული მომზადების ან გადამზადების პროგრამას. გეგმა სხვა აუცილებელ ელემენტებთან ერთად დეტალურად აღწერს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ, ალტერნატიულ გზებს.
სამომავლოდ, აკადემიის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება განისაზღვრება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვერ აღწევს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს სტანდარტულ ვადებსა და გარემოში;
- მობილობის წესით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელთა მიერ წინა დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგები და აკადემიური კრედიტები განსხვავდება აკადემიის მიმღები პროგრამის სწავლის შედეგებისგან;
- სხვა ობიექტური ან კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, რაც მოითხოვს სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაციას.

შპს ენ დი აკადემია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების მოქნილი მექანიზმების დანერგვას (მუხლი 13. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი) . დაწესებულებაში აკადემია ორიენტირებული იქნება თითოეული სტუდენტისა თუ მსმენელის სპეციალური საჭიროებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე. მარეგულირებელი წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება განისაზღვრება კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის ფარგლებში და დაეყრდნობა შემდეგ საფუძვლებს:

- **სსსმ და შშმ პირების მხარდაჭერა:** თუ სტუდენტი ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, მასწავლებლის მიმართვისა და დასწრება-დაკვირვების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მენეჯერი სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს გეგმას მოდულის მოდიფიცირების (თვისობრივი/რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (მიდგომების ცვლილება) მიზნით. აკადემია სამომავლოდ უზრუნველყოფს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, დამხმარე ტექნიკასა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.
- **მობილობა და პროგრამის შეცვლა:** მობილობით გადმოსული ან პროგრამაშეცვლილი სტუდენტებისათვის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კომისია უზრუნველყოფს კრედიტების/შედეგების აღიარებას. სასწავლო პროცესის მენეჯერი მოამზადებს შესაბამისი გეგმის პროექტს, რათა გარანტირებული იყოს საკვანძო კომპეტენციების შეძენა.
- **სტატუსის აღდგენა:** სტატუსაღდგენილი სტუდენტებისთვის, ათვისებული შედეგების გადამოწმების შემდგომ, შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო განრიგი იმ ეტაპიდან, სადაც შეუჩერდათ სტატუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

აკადემია სავალდებულო წესით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ჩართულობას გეგმის შემუშავების პროცესში, ხოლო არასრულწლოვნის ან მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაში -მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას. ყველა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.1.1.5 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ შპს „ენ დი აკადემიის“ დირექტორის 19.01.2026 N2/07 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ✓ სტუდენტებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი;
- ✓ შპს „ენ დი აკადემიის“ დირექტორის 22.01.2026 N2/12 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“;
- ✓ ინდ გეგმის შაბლონი;
- ✓ კატალოგი;
- ✓ აკადემიის ვებგვერდი (ndacademy.ge)
- ✓ გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

შპს „ენ დი აკადემია“ ორიენტირებულია თითოეული პროფესიული სტუდენტის აკადემიური წინსვლისა და განვითარების მაქსიმალურ მხარდაჭერაზე. სამომავლოდ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ფარგლებში, დაწესებულება ჩამოაყალიბებს კონსულტირებისა და აკადემიური მხარდაჭერის ქმედით სისტემას, რომელიც ორიენტირებული იქნება სტუდენტთა მიერ სასწავლო მიზნების ეფექტურ მიღწევაზე.“ აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტკიცებული 19.01.2026 წლის N2/07 ბრძანებით) დეტალურად არის გაწერილი და სამომავლოდ პრაქტიკაში ამოქმედდება მკაფიო პროცედურები, თუ რა შემთხვევაში და როგორი მექანიზმით შეეძლება პროფესიულ სტუდენტს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება (მათ შორის, დაუდასტურებელი სწავლის შედეგების ხელახალი/განმეორებითი დადასტურება). იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ დაადასტურა კონკრეტული სწავლის შედეგი, წესით განსაზღვრულ ვადებსა და პირობებში მას მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლოს განმეორებითი შეფასების უფლებით, სადაც გამოყენებული იქნება ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი შეფასებით არაუმეტეს ორჯერ; ასევე დამატებითი შეფასების დაგეგმვასა და ორგანიზებაზე პასუხიმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების (დამტკიცებული 22.01.2026 წლის N2/12 ბრძანებით) შესაბამისად, აკადემია პერიოდულად გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების ჩატარებას. ანონიმური კითხვარებისა და ინტერვიუების საშუალებით, დაწესებულება მუდმივად შეაფასებს აკადემიის მიერ გაწეულ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ მომსახურებას, შეისწავლის სტუდენტთა კმაყოფილების დონეს მხარდაჭერის სერვისების მიმართ და მიღებულ უკუკავშირს გამოიყენებს სასწავლო გარემოს შემდგომი სრულყოფისა და ხარისხის უწყვეტი განვითარებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

შპს „ენ დი აკადემია“ ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტებისათვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნასა და მათი ადაპტაციის პროცესის მაქსიმალურ ხელშეწყობაზე. დაწესებულებას შემუშავებული და აკადემიის დირექტორის მიერ 21.01.2026 N2/11 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ენ დი აკადემია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“; აკადემიის სასწავლო აუდიტორიები სრულად არის მოწყობილი შესაბამისი ინვენტარითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკისათვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. აკადემიაში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B და C. მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, მაგ. A და C, B და C ან A, B და C.

სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის პროცესის სისტემურად მართვის მიზნით, დაწესებულებაში მოქმედებს „**პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“ (დამტკიცებული 20.01.2026 წლის N2/08 ბრძანებით)**. აღნიშნული რეგულაციის საფუძველზე, აკადემია გეგმავს ღია კარის დღეების მოწყობას, სადაც დაინტერესებულ პირებსა და სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ წინასწარ გაეცნონ არსებულ სასწავლო გარემოს.

სასწავლო წლის დასაწყისში, პროგრამის ხელმძღვანელები და **პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი** (რომლის ფუნქცია-მოვალეობებითაც პირდაპირ არის განსაზღვრული სტუდენტთა მხარდაჭერა) წინასწარ დაგეგმილ საორიენტაციო შეხვედრებზე ახალჩარიცხულ სტუდენტებს დეტალურად მიაწვდიან ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- პროგრამის განხორციელების სპეციფიკა, ეტაპები და განრიგი;
- პროფესიული სტუდენტის უფლებები, მოვალეობები;
- სტუდენტის ინფორმირების ოფიციალური არხები (ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქის ჯგუფები, აკადემიის ვებგვერდი და სოციალური ქსელები);
- აკადემიის სტრუქტურული ერთეულები და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სხვადასხვა საჭიროების დადგომისას ვის უნდა მიმართონ.

ინტერვიუს შედეგად დაგინდა, რომ აკადემიის ადმინისტრაციას მუდმივი მზაობა აქვს, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გაითვალისწინოს პროფესიული სტუდენტების ინტერესები, გაუწიოს მათ სათანადო კონსულტაცია, განუმარტოს მოქმედი რეგულაციები და გონივრულ ვადებში მოახდინოს ეფექტური რეაგირება მათ ნებისმიერ საჭიროებაზე. სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ, დაწესებულება პერიოდულად ჩაატარებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. მიღებული უკუკავშირის ანალიზი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ადასტურებს, რომ აკადემიის ადმინისტრაციის საქმიანობა და მატერიალური რესურსები ეფექტურად შეუწყობს ხელს პროფესიულ სტუდენტებს, რათა მათ მარტივად და სტრესის გარეშე გაიარონ ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

შპს „ენ დი აკადემია“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის ეფექტური და დროული ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისების მიწოდებას. სტუდენტთა მხარდაჭერისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში ამოქმედდება „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“ (დამტკიცებული 20.01.2026 წლის N2/08 ბრძანებით). აღნიშნული წესისა და განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, აკადემიის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, მათ შორის პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტთა სრულმხრივ ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხზე. კერძოდ, სტუდენტები ამომწურავ განმარტებებს მიიღებენ შემდეგ მექანიზმებსა და პროცედურებზე:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა;
- შიდა და გარე მობილობის პირობები;
- წინარე თუ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარება;
- კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა და წესები.

ამასთანავე, აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომლები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პირველივე მოთხოვნისთანავე გაუწევენ სტუდენტებს კვალიფიციურ კონსულტირებას. სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია მიმდინარე შეფასებების, დამატებითი და განმეორებითი შედეგების დადასტურების ვადებისა და იმ ორგანიზაციული ინსტრუმენტების შესახებ, რაც აუცილებელია მათი შეუფერხებელი სასწავლო საქმიანობისთვის.დადგენილ ვადებში მოხდება ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, ფორმალური განათლების აღიარება. სერვისების გაწევის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.1.3 -ის მოტხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

შპს „ენ დი აკადემია“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესის მიღმა სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას და მზად არის ხელი შეუწყოს სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებას. დაწესებულება აქტიურად წაახალისებს პროფესიული სტუდენტების შემოქმედებით, შემეცნებით და სოციალურ ინიციატივებს, რაც ხელს შეუწყობს მათი პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებას.
სტუდენტური იდეებისა და დამატებითი აქტივობების მხარდაჭერის პროცედურული მხარე რეგულირდება „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესით“ (დამტკიცებული 20.01.2026 წლის N2/08 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ჩამოყალიბებულია სტუდენტური ინიციატივების განხილვისა და რეაგირების მკაფიო, ორეტაპიანი მექანიზმი:

- პირველადი განხილვა და კონსულტირება: პროფესიულ სტუდენტთა მიერ წამოჭრილ ნებისმიერ ინიციატივასა და იდეას პირველ ეტაპზე განიხილავს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი (მისი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად). მენეჯერი დეტალურად შეისწავლის წინადადების არსს, უწევს სტუდენტებს სათანადო კონსულტაციას და საკუთარ კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, რაც უზრუნველყოფს პროცესის ოპერატიულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- რესურსული მხარდაჭერა და რეაგირება: იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტური ინიციატივის ან არაფორმალური აქტივობის მასშტაბი საჭიროებს დამატებითი ადამიანური, ფინანსური ან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზებას, პროფორიენტაციის მენეჯერი სათანადო დასაბუთებული წინადადებით მიმართავს აკადემიის დირექტორს, რათა გამოიყოს საჭირო მხარდაჭერა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.

ამგვარად, დადგენილი წესისა და პასუხისმგებელი პირების კოორდინირებული მუშაობის წყალობით, აკადემია გარანტირებულად უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის საინტერესო ინიციატივის მოსმენას, წახალისებასა და შესაბამისი პირობების შექმნას დამატებითი, შინაარსიანი აქტივობების განსახორციელებლად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.1.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

შპს „ენ დი აკადემიაში“ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების ხარისხის მუდმივი სრულყოფა დაწესებულების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აკადემია უზრუნველყოფს, რომ სტუდენტების მიერ დაფიქსირებული თითოეული უკუკავშირი გახდეს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სერვისების გაუმჯობესების საფუძველი.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული 22.01.2026 წლის N2/12 ბრძანებით) პირდაპირ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვას, მიღებული მონაცემების სისტემურ გაანალიზებასა და შემდგომ რეაგირებას. ეს პროცესი მოიცავს შემდეგ სამომავლო ეტაპებს:

- უკუკავშირის შეგროვება: სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ხარისხის მართვის სამსახური (სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით) უზრუნველყოფს ანონიმური გამოკითხვებისა და ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებას, რათა შეფასდეს სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო გარემოს, რესურსების, ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და სწავლების ხარისხის მიმართ.
- შედეგების ანალიზი და რეაგირება: გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები დეტალურად დამუშავდება და გაანალიზდება. გამოკვეთილი საჭიროებებისა თუ რეკომენდაციების საფუძველზე, აკადემიის მენეჯმენტი შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმებსა და რეაგირების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი ხარვეზების ოპერატიულ აღმოფხვრასა და მომსახურების ხარისხის თვისებრივ ზრდას.

ამგვარად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანი გამოყენებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის (გამოკითხვის შედეგების) რეალურ ასახვას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინსტიტუციური განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ✓ სტუდენთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შაბლონი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ შპს ენ დი აკადემია ლექციაზე დასწრების ფორმა;
- ✓ შპს ენ დი აკადემია შეფასებაზე დასწრების ფორმა;
- ✓ შპს ენ დი აკადემია კურსდამთავრებულთა კვლევა;
- ✓ *შპს ენ დი აკადემიის კითხვარი აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასების შესახებ;*
- ✓ *შპს ენ დი აკადემია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარი;*
- ✓ *შპს ენ დი აკადემია კითხვარი შეფასების პროცესის შესახებ;*
- ✓ *ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმა - 2026 წ.*
- ✓ *შპს ენ დი აკადემია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 22.01.2026 N2/12 ბრძანებით;*
- ✓ *აკადემიის დირექტორის 22.01.2026 N2/12 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ენ დი აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“;*
- ✓ *„შპს ენ დი აკადემია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია„ დამტკიცებული აკადემიის დირექტორის 21.01.2026 N2/11 ბრძანებით.*

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

შპს „ენ დი აკადემიაში“ პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის მექანიზმი წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული სისტემა პირს ეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე სწორად განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები, კომპეტენციები და ინტერესები. კარიერის დაგეგმვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

კონსულტირების პროცესი ორიენტირებულია იმაზე, რომ დაეხმაროს ინდივიდს განათლებასთან, ტრენინგებთან და დასაქმებასთან დაკავშირებული გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი პროფესიული მომავლის ეფექტურად მართვაში. აკადემიაში ეს პროცესი ეფუძნება თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მდგომარეობას - მის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, მოტივაციას, პერსონალურ ინტერესებსა და ფასეულობებს. ამავდროულად, მომსახურება მუდმივად ითვალისწინებს მიმდინარე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები შეიძენენ დამსაქმებლებისთვის საჭირო აქტუალურ ცოდნას. კარიერული მხარდაჭერის ძირითადი მიზანია სტუდენტმა შეიძინოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დასჭირდება პროფესიულ მომავალთან დაკავშირებული არჩევანის გასაკეთებლად. კონსულტირების პროცესი აკადემიაში იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ პირს არა მარტო კონკრეტულ მომენტში არსებული გამოწვევის დაძლევაში ეხმარება, არამედ უვითარებს უნარს, დამოუკიდებლად მიიღოს ანალოგიური სტრატეგიული გადაწყვეტილებები კარიერული განვითარების მომავალ ეტაპებზეც. ინსტიტუციურ დონეზე აღნიშნული პროცესების გამართულ მუშაობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს აკადემიის დირექტორის 20.01.2026 წლის N2/08 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“**, რომელიც არეგულირებს მომსახურების მიწოდების ფორმატებსა და პროცედურებს. ამასთანავე, კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების პრაქტიკულ რეალიზაციაზე, კოორდინაციასა და ბენეფიციარებთან უშუალო კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებიც განსაზღვრულია შესაბამის სამუშაო აღწერილობით.

კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარებისა და შრომის ბაზარზე მათი ეფექტური ინტეგრაციის მიზნით, შპს „ენ დი აკადემიას“ წინასწარ აქვს ფორმირებული მყარი პარტნიორული ქსელი დარგის წამყვან ორგანიზაციებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც მიზნად ისახავს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერას, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და მათ შემდგომ დასაქმებას. ამ მიმართულებით აკადემიის სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ:

- **შპს „ჯეო ინსპექტი“** — თანამშრომლობა მიმართულია კურსდამთავრებულთა მხარდაჭერასა და დარგში მათი დასაქმების პერსპექტივებზე;
- **შპს „სეიფთი ლაბი“** — პარტნიორობა ორიენტირებულია პროგრამის ბენეფიციართა ხელშეწყობასა და კარიერულ განვითარებაზე;
- **შპს „ჯეო სეიფთი“** — მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივ აქტივობებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობისთვის.

დამსაქმებლებთან არსებული ეს პირდაპირი კავშირი გარანტიას ქმნის, რომ კარიერული მხარდაჭერის მომსახურება იქნება პრაქტიკული შედეგის მომტანი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.2.1. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

შპს „ენ დი აკადემიაში“ პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის მექანიზმი წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც ხელმისაწვდომია პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული სისტემა პირს ეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე სწორად განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები, კომპეტენციები და ინტერესები. კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების პროცესი ორიენტირებულია იმაზე, რომ დაეხმაროს ინდივიდს განათლებასთან, ტრენინგებთან და დასაქმებასთან დაკავშირებული გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი პროფესიული მომავლის ეფექტურად მართვაში.

აკადემიაში ეს პროცესი ეფუძნება თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მდგომარეობას - მის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, მოტივაციას, პერსონალურ ინტერესებსა და ფასეულობებს. ამავდროულად, მომსახურება მუდმივად ითვალისწინებს მიმდინარე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები იძენენ დამსაქმებლებისთვის საჭირო აქტუალურ ცოდნას. კარიერული მხარდაჭერის ძირითადი მიზანია მომხმარებელმა შეიძინოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დასჭირდება პროფესიულ მომავალთან დაკავშირებული არჩევანის გასაკეთებლად. კონსულტირების პროცესი აკადემიაში იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ პირს არა მარტო კონკრეტულ მომენტში არსებული გამოწვევის დაძლევაში ეხმარება, არამედ უვითარებს უნარს, დამოუკიდებლად მიიღოს ანალოგიური სტრატეგიული გადაწყვეტილებები კარიერული განვითარების მომავალ ეტაპებზეც.

ინსტიტუციურ დონეზე აღნიშნული პროცესების გამართულ მუშაობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს აკადემიის დირექტორის 20.01.2026 წლის N2/08 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, რომელიც არეგულირებს მომსახურების მიწოდების ფორმატებსა და პროცედურებს. ამასთანავე, კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების პრაქტიკულ რეალიზაციაზე, კოორდინაციასა და ბენეფიციარებთან უშუალო კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც პროფორიენტაციასა და კონსულტირებას აკადემიაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს. მენეჯერი ფუნქციურად ვალდებულია, მუდმივად მიაწოდოს პოტენციურ სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს (პსდ) განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან, მიმდინარე ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს კავშირის უწყვეტობას სასწავლებელსა და მის კურსდამთავრებულებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.2.2. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

შპს „ენ დი აკადემიაში“ პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის მექანიზმი წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც არსებული, ისე პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული სისტემა პირს ეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე სწორად განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები, კომპეტენციები და ინტერესები. კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების პროცესი ორიენტირებულია იმაზე, რომ დაეხმაროს ინდივიდს განათლებასთან, ტრენინგებთან და დასაქმებასთან დაკავშირებული გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი პროფესიული მომავლის ეფექტურად მართვაში. აკადემიაში ეს პროცესი ეფუძნება თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მდგომარეობას - მის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, მოტივაციას, პერსონალურ ინტერესებსა და ფასეულობებს. ამავდროულად, მომსახურება მუდმივად ითვალისწინებს მიმდინარე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები იძენენ დამსაქმებლებისთვის საჭირო აქტუალურ ცოდნას. კარიერული მხარდაჭერის ძირითადი მიზანია მომხმარებელმა შეიძინოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დასჭირდება პროფესიულ მომავალთან დაკავშირებული არჩევანის გასაკეთებლად. კონსულტირების პროცესი აკადემიაში იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ პირს არა მარტო კონკრეტულ მომენტში არსებული გამოწვევის დაძლევაში ეხმარება, არამედ უვითარებს უნარს, დამოუკიდებლად მიიღოს ანალოგიური სტრატეგიული გადაწყვეტილებები კარიერული განვითარების მომავალ ეტაპებზეც.

ინსტიტუციურ დონეზე აღნიშნული პროცესების გამართულ მუშაობასა და მდგრადობას უზრუნველყოფს აკადემიის დირექტორის 20.01.2026 წლის N2/08 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, რომელიც არეგულირებს მომსახურების მიწოდების ფორმატებსა და პროცედურებს. ამასთანავე, კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების პრაქტიკულ რეალიზაციაზე, კოორდინაციასა და ბენეფიციარებთან უშუალო კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და საზოგადოთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც პროფორიენტაციასა და კონსულტირებას აკადემიაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს. მენეჯერი ფუნქციურად ვალდებულია, მუდმივად მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან, მიმდინარე ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს კავშირის უწყვეტობას სასწავლებელსა და მის კურსდამთავრებულებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

აკადემიაში მომსახურებისა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პერიოდულად ჩატარდება კვლევები პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების სტატუსისა და კარიერული საჭიროებების დასადგენად. ამ მიმართულებით დაწესებულებაში შემუშავებულია და კურსდამთავრებულთა კვლევის სპეციალური ინსტრუმენტები და კითხვარები;

გარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა, შიდა ხარისხის მონიტორინგისა და მომსახურების სრულყოფის მექანიზმები მოიცავს მრავალმხრივ ინსტრუმენტებს, კერძოდ:

- შპს ენ დი აკადემიის კითხვარი აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასების შესახებ — სტუდენტთა კმაყოფილების დასადგენად;
- შპს ენ დი აკადემია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარი — პედაგოგიური საქმიანობის ეფექტიანობის შესასწავლად;
- შპს ენ დი აკადემია კითხვარი შეფასების პროცესის შესახებ — საგამოცდო და შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ანალიზისთვის.

ამასთანავე, უშუალო სასწავლო და საგამოცდო პროცესზე დაკვირვება და აღრიცხვა ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტებით, როგორიცაა ლექციაზე დასწრების ფორმა და შეფასებაზე დასწრების ფორმა, რაც ჯამში ქმნის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარებისა და კარიერული მხარდაჭერის მყარ საფუძველს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.2.3 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

შპს „ენ დი აკადემიაში“ კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ხარისხის მართვა ინტეგრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ინსტიტუციურ სისტემაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ კი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“ (დამტკიცებული 22.01.2026 წლის N2/12 ბრძანებით) და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებული 19.01.2026 წლის N2/07 ბრძანებით) დგინდება, რომ დაწესებულებას ნორმატიულ დონეზე აქვს გაწერილი კარიერული მომსახურების პერიოდული და სისტემური შეფასება, რაც მიზნად ისახავს მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სერვისების მუდმივ გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად, პროცესი სტრუქტურირებულია შემდეგ ეტაპებად:

- გამოკითხვის პერიოდული ჩატარება: სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტების მეშვეობით, პერიოდულად განახორციელებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

კურსდამთავრებულები) გამოკითხვას. პროცესი თანხვედრაშია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესთან“ (20.01.2026 წლის N2/08 ბრძანება), რათა ზუსტად შეფასდეს კარიერული მომსახურების ეფექტიანობა.

- შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები: მიღებული მონაცემები დაექვემდებარება ანალიზს, რომლის საფუძველზეც მომზადდება ანგარიშები. ამ ანალიზის გათვალისწინებით, პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, თავისი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში, შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმებს გამოკვეთილი საჭიროებების საპასუხოდ.
- საჯაროობა და ინფორმირებულობა: კვლევის შედეგები პროაქტიულად გაეცნობათ დაინტერესებულ პირებს (ადმინისტრაციას, მოდულის განმახორციელებლებსა და სტუდენტებს), რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის პროცესის გამჭვირვალობას.
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება (უკუკავშირის რეალიზება): კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირი გახდება საფუძველი კარიერული მომსახურების ფორმატების, საინფორმაციო არხებისა თუ კონსულტირების მეთოდოლოგიის მოდიფიცირებისა და ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნული კომპლექსური მიდგომა ადასტურებს, რომ აკადემიას გააზრებული აქვს ხარისხის განვითარების ციკლური პრინციპი (PDCA) და მზად არის, ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ უზრუნველყოს კარიერული მხარდაჭერის სერვისების მუდმივი შესაბამისობა სტუდენტთა რეალურ საჭიროებებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 3.2.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ შპს „ჯეო ინსპექტი“-თან 2026 წლის 10 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდული №5108 ,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და დასაქმების შესახებ;
- ✓ შპს „სეიფთი ლაბი“ -თან 2026 წლის 10 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 5107, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და დასაქმების შესახებ;
- ✓ შპს „ჯეო სეიფთი “ -თან 2026 წლის 25 მარტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 5115, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და დასაქმების შესახებ;
- ✓ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი “;
- ✓ „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესთან“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- ✓ ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეეგები;
- ✓ კვლევის შაბლონები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

აკადემიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საშტატო ნუსხა, ასევე შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანოგრამის სახით, სადაც სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს:დირექტორს,დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

სასწავლო პროცესის მენეჯერს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, ბიბლიოთეკარს, კომპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერს, ფინასურ მენეჯერს, იურისტს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, ექთანს, დარაჯის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და დიასახლისს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობა, ჩანს თითოეული პოზიციის მიხედვით შესასრულებელი დავალებები, სამუშაოს პირობები, პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

აკადემიის დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტის მიხედვით განაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებასა და მიზნებს უკავშირდება. დაცულია ანგარიშვალდებულების მექანიზმი. აკადემიაში დასაქმებული პირები ანგარიშვალდებული არიან დირექტორის წინაშე, თუმცა კონკრეტულ დასაქმებულ პირებს უშუალო ხელმძღვანელებიც ჰყავთ,მაგალითად, სასწავლო პროცესის მენეჯერს უშუალოდ ექვემდებარებიან პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და ბიბლიოთეკარი, დირექტორის მოადგილეს- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსები მენეჯერი, ექთანი, დიასახლისი, დარაჯი და კოპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერი. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტალური შესწავლით, თანამშრომლებთან გასაუბრებითა და ასევე კოლეჯის სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის ძირითადი ფუნქციაა: გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს აკადემიაში, რომლის ფარგლებშიც შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას;ადგენს აკადემიაში მიმდინარე პროცესების პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას; მონიტორინგს უწევს და აფასებს ადამიანური, მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს; დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურეობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირის, ასევე სხვა სახის ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, მონიტორინგს უწევს და აფასებს გაწეული მომსახურეობის, მათ შორის სწავლა-სწავლების და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესს; სასწავლო პროცესისხარისხის გასაუმჯობესებლად, აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შეფასებას, რისთვისაც შეიმუშავებს სხვადასხვა სახის (პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პარტნიორი კომპანიების) კითხვარებს;იკვლევს პერსონალის კმაყოფილებასა და საჭიროებებს; სტანდარტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის შემთხვევაში, შესრულების არსებული დონის შენარჩუნების, პროცესების ეფეტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს;მონაწილეობს აკადემიის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმისა და აკადემიის ერთწლიანი გეგმის ფარგლებში ამზადებს ანგარიშებს;აორგანიზებს და კოორდინაციას უწევს აკადემიის თვითშეფასების ანგარიშის შევასების პროცესს; კოორდინაციას უწევს აკადემიის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ პროცესს; ახორციელებს აკადემიის დირექტორის მიერ დელეგირებულ და სხვა უფლებამოსილებებს

ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს სხვა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობასთან. რაც დადასტურდა ხარისხის მართვის მენეჯერის 2026 წლის სამოქმედო გეგმისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის სტრუქტურა;
- აკადემიაში დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 13.01.2026 წლის N2/04 ბრძანებით);
- საშტატო ნუსხა (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 13.01.2026 წლის N2/04 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- ხარისხის მართვის მენეჯერის 2026 წლის სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 22.01.2026 წლის N2/12 ბრძანებით)
- ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის N2/04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალის მართვის პოლიტიკა", რომელიც არეგულირებს დაწესებულების თანამშრომლის მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის სრულ პროცესს, რაც უზრუნველყოფს აკადემიის საჭირო, კვალიფიციური კადრით დაკომპლექტებას. პერსონალის მართვის მიზანია დასაქმებული პერსონალის ერთობლივი წარმატებული მუშაობის უზრუნველყოფა აკადემიის მიზნების განსახორციელებლად. პერსონალის მართვის პოლიტიკა წარმოადგენს მოქმედებების, პროცედურებისა და რეგულაციების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის დაგეგმვის,მოზიდვის, პერსონალის შერჩევის,განვითარების, პერსონალის წახალისებისა და შეფასების ეფექტიან მექანიზმებს.იგი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სამართლიანობას - ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება სამართლიანი არგუმენირტებისა და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე; თანასწორობას -თითოეული თანამშრომლის მიმართ დირექციას აქვს მიუკერძოებელი დამოკიდებულება მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, სოციალური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულობისა; გამჭვირვალობას - აკადემია საჭიროებისამებრ იყენებს ღია, საჯარო მიდგომებს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დაწინაურების განხორციელებისას.

დაწესებულებას საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს აგრეთვე ,,შპს ენ დი აკადემიის შინაგანაწესი". წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომითი ურთიერთობების წარმოშობისა და წარმართვის წესებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეთიკური საკითხი. შინაგანაწესით დადგენილია წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის წესი და გამოსაცდელი ვადის პირობები. განსაზღვრულია სამუშაო დროის, დასვენებისა და შესვენების დროის, არასრული სამუშაო დროის წესები. დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული შვებულების მიღების უფლება, შვებულებაში გასვლის პროცედურა, მისი სახეები - ანაზღაურებადი, ანაზღაურების გარეშე, ასევე ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, ბავშვის მოვლის გამო შვებულება და მივლინების წესი. შინაგანაწესი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას. გაწერილია აკადემიაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები და წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში მოცემულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

დისციპლინური ზომები, დისციპლინური წარმოების პროცედურა, პასუხისმგებლობის გაქარწყლების ან მოხსნის წესი, ახალი დისციპლინური ზომის დაკისრების საფუძვლები და ხანდაზმულობის ვადა. ასევე, შინაგანაწესი არეგულირებს ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებს, ელექტრონული ფოსტითა და ინტერნეტით სარგებლობის წესებს, რითაც უზრუნველყოფილია აკადემიის ინფორმაციული და ტექნიკური რესურსების უსაფრთხო და ეფექტიანი გამოყენება.

შესწავლილი დოკუმენტებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიაში პერსონალის მართვა, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. კერძოდ:

- შრომითი ხელშეკრულებები დასაქმებულ პერსონალთან შესაბამისობაშია როგორც შინაგანაწესთან, ასევე საქართველოს შრომის კოდექსთან და დაწესებულების სხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, შესაბამისად, აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერები ადასტურებს პერსონალის მხრიდან შინაგანაწესით დარეგულირებული შრომითი ურთიერთობის საკითხების გაცნობას.
- შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე პერსონალის პოზიციაზე დანიშვნის პროცესებში დაცულია როგორც შიდა მარეგულირებელი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში და პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

პერსონალისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია შპს ,,ენ დი აკადემიის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების” დოკუმენტით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები და დადასტურებულია მათი ორგანიზაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და დადგენილი პირობების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო გამოცდილების დოკუმენტი.პერსონალის პირად საქმეებში ასევე განთავსებული იყო მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, პირის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ან/და იმავე კანონის საფუძველზე პირისთვის სასამართლოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

დაწესებულების ერთ- ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს - ურთიერთთანამშრომლობა: გუნდური მუშაობა და ღია კომუნიკაცია, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტი. აკადემიაში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის კულტურა - მაგალითად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის დამატებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. ხდება გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. მტკიცებულებებად წარმოდგენილია სამუშაო შეხვედრების ოქმები და ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერის მტკიცებულებები. დაწესებულების პერსონალთან გამართული ინტერვიუების დროს ცალსახად დადასტურდა თუ რამდენად ორგანიზებული და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გუნდია. დაწესებულებას აქვს მოტივაცია ღირსეულად შემოვიდეს და დაიმკვიდროს ადგილი პროფესიული განათლების სისტემაში. თანამშრომლებს აქვთ მზაობა და რეალური შესაძლებლობებიც ერთობლივად მიაღწიონ მიზანს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 ინავრის N2/04 ბრძანებით);
- აკადემიის შინაგანაწესი (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის N2/04 ბრძანებით);
- შპს ,,ენ დი აკადემიის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 ინავრის N2/04 ბრძანებით);
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სამუშაო ჯგუფების ოქმები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-8 მუხლის თანახმად, აკადემია უზრუნველყოფს პერსონალის შეფასებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დაწესებულების თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა და საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პირთა შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის ბოლოს. პერსონალის ინფორმირება შეფასების პროცესის დაწყებამდე ხორციელდება 2 (ორი) კვირით ადრე, ხოლო შეფასების შედეგების გაცნობა, შეფასების დასრულებიდან - 1 (ერთი) თვის ვადაში. პერსონალის შეფასების სისტემის მიზნებია: ა) უზრუნველყოს აკადმიის თანამშრომლების მიერ ინდივიდუალური პროფესიული მიზნებისა და ამოცანების შემუშავება; ბ) განსაზღვროს აკადემიის თანამშრომლების მიერ დასახული და ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები; გ) დროულად მოახდინოს პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირება აკადემიის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში და განსაზღვროს მათი მოგვარების სტრატეგიები; დ) შეაფასოს აკადემიის პერსონალის საქმიანობა სწავლების, ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში; ე) გამოავლინოს თანამშრომელთა შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას; ვ) მოახდინოს აკადემიის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება; ზ)გამოავლინოს აკადემიის პერსონალის საქმიანობის სუსტი მხარეები და აღმოუჩინოს მათ სათანადო დახმარება. პერსონალის შესაფასებლად აკადემიას შემუშავებული აქვს უშუალო ხელმძღვანელის/დირექტორის შეფასების ფორმა (პერსონალის მართვის პოლიტიკის დანართი №2), რომელიც ეფუძნება 5-ქულიან სკალას. ასევე, სამუშაოს ხარისხის დასადგენად გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების გამოყენება. პროცესის წარმართვაზე, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს. შეფასების შედეგების საფუძველზე, ხელმძღვანელობის ჩართულობით, ყალიბდება ერთობლივი განვითარების გეგმა და განსაზღვრულია როგორც წახალისების (მადლობა, პრემია, დაწინაურება), ისე სანქციების (გაფრთხილება, გადამზადება, გათავისუფლება) მექანიზმები.ხარისხის მართვის მენეჯერი გეგმის ფარგლებში ახორციელებს საჭიროებათა კვლევას.პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულება გეგმავს საქმიანობა წარმართოს მის მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად. წინასაავტორიზაციო პერიოდში იდენტიფიცირებული იქნა საკითხები, რომელთა მიმართულებითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროგრამის განმახორციელებლებს ესაჭიროებოდათ გაძლიერება და აქტივობებიც დაიგეგმა შესაბამისი მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

აკადემიაში პერსონალის პროფესიული განვითარების საკითხები დარეგულირებულია „პერსონალის მართვის პოლიტიკით“ (მუხლი 7). დოკუმენტის თანახმად, სისტემის მიზანია თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლების გზით. ამ მიზნით, აკადემია ადგენს განვითარების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: ფუნქცია-მოვალეობების გადასინჯვა; კონფერენციებში, ტრენინგებში, სემინარებში, მასტერკლასებში, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა განმავითრებელ აქტივობებში მონაწილეობა; ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა.

რეგულაციის მიხედვით, პერსონალის განვითარების საჭიროების ინიცირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც უშუალო ხელმძღვანელის/დირექტორის მხრიდან, ისე თავად თანამშრომლის ინიციატივით, რომელსაც პირველ ეტაპზე განიხილავს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და რესურსების საჭიროების შემთხვევაში წინადადებით მიმართავს დირექტორს. მიზნობრივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, წესით გათვალისწინებულია არანაკლებ ყოველ კალენდარულ წელიწადში ერთხელ დასაქმებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის უზრუნველყოფა. დაწესებულებას ასევე შეიმუშავებული აქვს პერსონალის განვითარების გეგმა, (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 24 მარტის N2/24 ბრძანებით). წინასაავტორიცაზიო პერიოდში მოხდა პერსონალის გადამზადება, ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესსა (მუხლი 16) და პერსონალის მართვის პოლიტიკაში (მუხლი 7) ასახულია დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ზოგადი სამართლებრივი მექანიზმები, რომელთა თანახმად კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სპეციალიზებული სწავლების, ტრენინგის ან სტაჟირების გზით, ხოლო დაფინანსების საკითხი წყდება მიმდინარე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით. დოკუმენტი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, უზრუნველყოს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დასრულების შემდგომ, თუ ეს აუცილებელია სამუშაოს შესასრულებლად, ხოლო პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პროფესიული განვითარების სისტემის კომპონენტებს, როგორიცაა ფუნქცია-მოვალეობების გადასინჯვა, კონფერენციებში, მასტერკლასებსა და სემინარებში მონაწილეობა, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა, სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა და საჭიროებათა კვლევის ჩატარება.

დაწესებულება უზრუნველყოფს მასწავლებლებისთვის ტრენინგების ორგანიზებას, რომელიც ეხმარება მათ თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიების, ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის უახლესი ტენდენციების გაცნობასა და დანერგვაში. ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებისთვის იგეგმება როგორც შიდა ტრენინგები, ისე გარე პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერა, მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებზე დასწრების დაფინანსება. ეს ინიციატივები მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.
2026 წლის აპრილის თვეში დაწესებულებამ უზრუნველყო პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება სწავლებასა და შეფასებაში, მათ შორის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია ადამიანური კაპიტალის განვითარება. 2026-2027 წლის პერსონალის განვითარების გეგმით კი გათვალისწინებულია პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ახალი თამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციის პროცესი განსაზღვრულია აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკით. რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციულ კულტურაში ინტეგრაციის პროცესი ჩამოყალიბებულია კომპლექსურ და მრავალმხრივ სისტემად. პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის მკაფიოდ არის გადანაწილებული პასუხისმგებლობები სხვადასხვა ჩართულ მხარეს შორის:ა) ახალი თანამშრომელი აქტიურად მონაწილეობს ყველა საადაპტაციო აქტივობაში და ითვალისწინებს მიღებულ უკუკავშირს, ბ)ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი წარმოადგენს პროცესის მთავარ კოორდინატორს. იგი პასუხისმგებელია მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემუშავებაზე, ახალი თანამშრომლის წარდგენაზე, რეგულარული კომუნიკაციასა და ძირითადი რესურსების მიწოდებაზე. ასევე, უზრუნველყოფს საორიენტაციო ტრენინგების ორგანიზებას და აგროვებს უკუკავშირს როგორც თანამშრომლისგან, ისე მისი ხელმძღვანელისგან მთელი გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში, გ) უშუალო ხელმძღვანელი ახდენს ახალი თანამშრომლის მიზნების ფორმულირებას, დავალებების გაცემას, შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას, დ)აკადემიაში დასაქმებული საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება ახალწვეულს ფუნქციების სწორად გააზრებასა და შესრულებაში, უზიარებს გამოცდილებას და აცნობს სფეროს სპეციფიკას.

ადაპტაციის პროცესის საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს საორიენტაციო ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავს შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდასა და ორგანიზაციული ღირებულებების გააზრებას. ტრენინგის შინაარსობრივი მხარე მოიცავს შემდეგ საკითხებს:ა) დაწესებულების საქმიანობის სფერო, სტრატეგიული მიზნები და მიღწევები; ბ) ორგანიზაციული ღირებულებები და კორპორატიული კულტურა (მათ შორის, ღონისძიებების გაცნობა); გ) ინფრასტრუქტურული მოწყობა (სართულები, აუდიტორიები და სხვა); დ) საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციასა და შიდა დოკუმენტაციაზე (სტანდარტული შაბლონები და სხვა) ხელმისაწვდომობის გზები.
დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი ახალი თანამშრომლის სამუშაო სივრცის მომზადების ლოჯისტიკური საკითხებიც.მოცემული რეგულაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია ახალი კადრების მხარდაჭერაზე. საადაპტაციო მექანიზმები, როგორიცაა საორიენტაციო ტრენინგი და გამოსაცდელ პერიოდში მუდმივი უკუკავშირის სისტემა, უზრუნველყოფს თანამშრომლის სწრაფ და ეფექტიან ინტეგრაციას სამუშაო გარემოში. ასევე, ტექნიკური და ლოჯისტიკური მხარის წინასწარი მოწესრიგება მიუთითებს ორგანიზაციული პროცესების გამართულობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დოკუმენტური შესწავლით დადასტურდა, რომ აკადემიაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, კერძოდ, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით,თანამშრომლის ინიციატივებს პირველ ეტაპზე განიხილავს საქმისწარმოებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. მის კომპეტენციას დაქვემდებარებულ ინიციატივასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, ხოლო მომართვიანობა, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებთან, წინადადებით მიმართვს აკადემიის დირექტორს შესაბამისი მხარდაჭერის მიზნით. აკადემიის თანამშრომელს შესაძლოა უარი ეთქვას ინიციატივის დაკმაყოფილებაზე, თუ მომართვიანობა სცდება დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას.
დირექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, მათთვის მნიშვნელოვანია რომ მათთან დასაქმებული პირები იყვნენ მაღალკონკურენტულნი საგანმანათლებლო სივრცეში შესაბამისად, სისტემატურად უზრუნველყოფენ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას,მათი ინიციატივების მხარდაჭერას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 ინავრის N2/04 ბრძანებით);
- აკადემიის შინაგანაწესი (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის N2/04 ბრძანებით);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პერსონალის განვითარების გეგმა, (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 24 მარტის N2/24 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის სწავლებასა და შეფასების მიმართულებით ჩატარებული ტრენინგის მტკიცებულება, (დასწრების ფურცელი);

- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

   დაწესებულებას ფიზიკურ პირთან ზ.გ- სთან 2026 წლის 23 მარტს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება N5/13, რომლის ფარგლებში, 7 წლის ვადით , ფლობს ფართს ჯამურად - 721.66 კვ.მ-ს. საკადასტრო კოდზე: (01.11.05.025.017) .საიჯარო ფართი მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი დავით სარაჯიშვილის N35ა. შენობა-ნაგებობების, ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.დაწესებულებაში მოწყობილია სასწავლო და სამუშაო სივრცეები პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის,რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის.აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა შიდა აზომვითი ნახაზები, ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა და მატერიალური რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

   აკადემიას შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

წესი“, რომელიც არეგულირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვისა და თანამრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების მექანიზმებს. დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამატრების მქონე კომპიუტერებით. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს აკადემიის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა/აღჭურვილობა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აკადემიის თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს თანაბარი უფლება აქვთ ისარგებლონ აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და შესაძლებლობები დაწესებულების მატერიალური რესურსით სარგებლობის თაობაზე ასახულია პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულების ნიმუშშიც. იმის გათვალისწინებით რომ დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა ვერ ფასდება და შეფასება შემოიფარგლება რეგულაციების ანალიზით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
   დაწესებულებას შემუშვებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“. დოკუმენტით განსაზღვრულია სანიტარული ნორმების დაცვის მკაფიო მექანიზმები, რაც მოიცავს სასწავლო და სამუშაო სივრცეების, დერეფნებისა და სველი წერტილების დასუფთავების ყოველდღიურ პროცედურებს. რეგულაცია ითვალისწინებს შეხებადი ზედაპირების რეგულარულ დეზინფექციას, დახურული სივრცეების ბუნებრივ ვენტილაციას, ჰიგიენური საშუალებებით (ერთჯერადი ხელსახოცები) და ნარჩენებისათვის განკუთვნილი დახურული კონტეინერებით სივრცეების აღჭურვას. აღსანიშნავია, რომ რეგულაცია დეტალურად განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს დიასახლისს, რომლის ვალდებულებები მოიცავს სველი წერტილების დღეში ორჯერ დამუშავებას, საერთო სივრცეების სველი წესით დასუფთავებას, ჰიგიენური მარაგების შევსებასა და ინვენტარის მოვლას. ამასთანავე, დაწესებულება უზრუნველყოფს დიასახლისის უსაფრთხო საქმიანობას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და საჭირო აღჭურვილობით, რაც ადასტურებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და სანიტარული წესების შეუფერხებელი დაცვის მზაობას. წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებები და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა ადასტურებს, რომ დაწესებულება სრულად იცავს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.
   აკადემიაში ცენტრალური გათბობის სისტემა დამონტაჟებულია პირველ და მეორე სართულებზე, ხოლო მესამე და მეოთხე სართულებზე აღნიშნული სისტემა არ არის დამონტაჟებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა და, წარმომადგენელთა განმარტებით, გეგმაში განსაზღვრულ ვადაში (23.08.2026) განხორციელდება სამუშაოების დასრულება.
   ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.
   დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშვებულია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან (ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“) და საერთაშორისო სტანდარტების (ISO 45001, ISO 14001) პრინციპებთან. დოკუმენტი ქმნის შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ჩარჩოს, რომელიც მოიცავს საფრთხეების იდენტიფიკაციას, რისკების რეგულარულ შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას. მართვის სისტემაში მკაფიოდ არის გამიჯნული პასუხისმგებლობები. დაწესებულებაში განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების მენეჯერის პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს ინსტრუქტაჟების ჩატარებას, სამუშაო გარემოს მონიტორინგსა და ინციდენტების აღრიცხვას.უსაფრთხოების მექანიზმები მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე რეაგირების ღონისძიებებს, მათ შორის ვაკუაციის გეგმებს, სახანძრო უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების საშუალებების ხელმისაწვდომობას. წინამდებარე დოკუმენტი ადასტურებს, რომ აკადემიას გააჩნია კანონმდებლობასთან შესაბამისი და მოქმედი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულია რისკების მინიმიზაციასა და სისტემის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც არის აკრედიტებული სპეციალისტი. წარმოდგენილია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ინტერვიუ შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან, რომლის მიხედვითაც იგი თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ასევე დადგინდა, რომ აკადემიის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია „სახანძრო უსაფრთხოების“ ინსტრუქტაჟი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების ფორმით, და წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები (ოქმი, ხელმოწერები)

ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

აკადემიაში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს შესყიდვის, შენახვის, გამოყენებისა და ნარჩენების უტილიზაციის სრულ ციკლს, რაზეც პასუხისმგებლობა დირექტორის მოადგილეს ეკისრება. მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა ეფუძნება სტუდენტთა კონტინგენტის, პროგრამული მოდულების სპეციფიკასა და პრაქტიკული კომპონენტების მოცულობას; კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის ან მასწავლებლის მიერ წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, დირექტორის მითითებით, ფინანსური მენეჯერი უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსების შესყიდვას როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, მასალებით უზრუნველყოფა ეკისრება პრაქტიკის ობიექტს. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციას კანონმდებლობით დადგენილი წესების სრული დაცვით, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით. წარმოდგენილი რეგულაცია სრულფასოვნად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პროცედურებს, რაც ქმნის საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის აუცილებელ წინაპირობას.

ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

აკადემიაში დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის N2/12 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და ითვალისწინებს აკადემიის რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. რეგულაციის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ეფუძნება PDCA („დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“) ციკლს, რაც უზრუნველყოფს პროცესების მუდმივ მონიტორინგს. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს როგორც სტრატეგიული და ადამიანური, ისე მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასებასა და გაუმჯობესებას. ამასთან, რეგულაცია ითვალისწინებს სასწავლო და საბიბლიოთეკო რესურსების, ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასებას ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

მიმართულია არა მხოლოდ ხარვეზების იდენტიფიკაციაზე, არამედ განვითარებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრასა და მათ მხარდაჭერაზე. პროცესის ფარგლებში, ხარისხის მართვის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს, გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირების მიზნით წარუდგენს დირექტორს. შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა ადასტურებს, რომ რესურსების განვითარების პოლიტიკა არის გამჭვირვალე და ორიენტირებულია ინსტიტუციურ გაუმჯობესებაზე, რითაც სრულად არის დაცული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუთი გამოიკვეთა მისი ხედვა დაწესებულებაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებით,დადასტურდა მისი მაღალი კომპეტენცია ავტორიზაციის ყველა სტანდარტის შეფასების ფარგლებში და ის გეგმავს საქმიანობა წარმართოს შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად.

ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

   შენობის აზომვითი ნახაზით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის შენობაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

   დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას შენობაში განთავსებულ სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებში, მათ შორის ბიბლიოთეკაში აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის/მუშაობის შესაბამის პირობებს.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას შენობაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. სასწავლო გარემოები და სამუშაო სივრცეები გადანაწილებულია ისე, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ შეეშალოს.

ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

აკადემიას დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N 2/14 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,, ბიბლიოთეკით სარგებლობით წესი“, რომელიც ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული. ყველა პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, პროფესიული განათლების მასწავლებელსა და აკადემიის პერსონალს თანაბრად აქვს უფლება ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, ციფრული და მატერიალური რესურსით. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და გატარებულია საინვენტარო ჟურნალში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N2/14ბრძანებით) ;
- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;(დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 მარტის N2/22 ბრძანებით)
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის2026 წლის 3 თებერვლის N2/19 ბრძნებით)
- ,, ბიბლიოთეკით სარგებლობით წესი“ (დამტკიცებულია აკადემიას დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N 2/14 ბრძანებით)
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის N2/12 ბრძანებით) დამტკიცებულია
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუ.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.
   აკადემიას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა,აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება შემოსულია შესაბამისობის გეგმით. დაწყებულია შესაბამისი პროცედურები, კერძოდ, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2026 წლის 14 აპრილის MIA 8 26 01278629 წერილი, ადასტურებს, რომ აკადემიის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტები შეესაბამება მოქმედ სამშენებლო ნორმებს, წესებსა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.ასევე დაწესებულებაში ყველა სართულზე თვალსაჩინოდაა აღნიშნული ყველა ის ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი თუ მანიშნებელი ნიშანი, რომელიც გვამცნობს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას, აქვს საევაკუაციო გასასვლელი, უზრუნველყოფილია განათებული მაჩვენებლებით (მაგალითად: „EXIT"), თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა და დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (23.08.2026) აკადემიას ექნება დასკვნა სახნძრო უსაფრთხოების შესახებ. შენობის მდგრადობის შესახებ, შპს საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის მიერ 2026 წლის 21 მარტს გაცემულია საექსპერტო დასკვნა. დასკვნის მიხედვით, განხორციელებული ექსპერტიზის საფუძველზე დადასტურებულია, რომ აკადემიის ფართის (საკადასტრო კოდი: 1.11.05.025.017) ტექნიკური მდგომარეობა ექსპლუატაციისთვის უსაფრთხოა და გაცემულია დადებითი რეკომენდაცია.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
   დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები" შენობაში მოწყობილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის ოთახი, პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო რესურსით.
   დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებულია ექთნის საშტატო ერთეული და შრომითს ხელშეკრულების ფარგლებში კოლეჯში დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი რომელიც უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.
   ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ინტერვიუ კოლეჯის ექთანთან,დადასტურდა რომ კარგად იცნობს მის ფუნქცა-მოვალეობებს და მას აქვს მზაობა კოლეჯთან საქმიანობა განახორციელოს შემუშავებული რეგულაციის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.
   დაწესებულების მიერ შემუშავებულია და დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, 2026 წლის 06 მაისის MIA02601574947 კორესპონდეცია. ასევე დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულება შემოსულია შესაბამისობის გეგმით, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ საგანგებო სიატუაცების მართვის გეგმა შეთახმებულია კომპენეტურ ორგანოსთან და შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული პროცედურები განხორციელებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

   აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/16 ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები". კოლეჯში დანერგილია უსაფრთხოების მართვის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ადამიანურ რესურსებს,-კერძოდ, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, დარაჯს და კონტრაქტორ პროვაიდერს შპს ვიქტორია სექიურითსს, ისე ტექნიკურ საშუალებებს: ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარსა და საევაკუაციო გეგმებს. დაწესებულება ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს, რეგულარულ ინსტრუქტაჟებს, ევაკუაციის სავარჯიშოებსა და სისტემების ტექნიკურ ინსპექტირებას, რაც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას ნებისმიერ ინციდენტზე. პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გადანაწილებული ადმინისტრაციულ პერსონალსა და შესაბამის მენეჯერებს შორის, ხოლო წესრიგის დარღვევის ან უსაფრთხოების საფრთხის შემთხვევაში, მოქმედებს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი და 112-თან თანამშრომლობის დადგენილი პროტოკოლი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტორებული შესაბამისობის გეგმა სამეთვალყურეო სისტემებთან დაკავშირებით.დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვისა და მონტაჟის შესახებ, სამუშაოები დაწყებულია, გარე პერიმეტრზე ნაწილობრივ მოწყობილია სისტემა, ხოლო შიდა სივრცეში მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები. დაწესებულების წარმომამდგენელთა განმარტებით, შესაბამისობის გეგმით დაგენილ ვადაში უზრუნველყოფენ პროცედურების დასრულებას.(23.08.2026)

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;(დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 მარტის N2/22 ბრძანებით,შევიდა ცვლილებააკადემიის დირექტორის 2026 წლის 15 მაისის N2/30 ბრანებით);
- შენობის მდგრადობის დასკვნა;
- ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები"(დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/16 ბრძანებით);
- ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები" (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/16 ბრძანებით);
- კონტრაქტორ პროვაიდერთან შპს ვიქტორია სექიურითთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.
   კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით,მათი რაოდენობა საკმარისია და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. რაც შეეხება ინტერნეტმომსახურებას ხელშეკრულება გაფორმებულია შპს მაგთიკომთან და ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა დაწესებულებაში ინტერნეტის არსებობა, მათ შორის, დაწესებულება უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ დაფარვით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

აკადემიას შემუშვებული აქვს ,, მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“ რომელიც არეგულირებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების დანერგვა-განვითარებისა და რისკების მართვის მექანიზმებს, რომელზეც პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე და კომპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერი, მათი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსებით სარგებლობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებასა და მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებას. აკადემიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას, ქსელს და უსაფრთხოების კამერებს. კომპიუტერულ ტექნიკას აკადემია იყენებს როგორც მართვის, ასევე სასწავლო პროცესის მიზნებისათვის. დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით,რომელიც პერიოდულად ექვემდებარება განახლებას/გაძლიერებას. აკადემიის კომპიუტერული ტექნიკა ინტერნეტში ჩართულია 24/7 რეჟიმით, როგორც პერსონალისთვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ აუდიტორიებს და ბიბლიოთეკაში. ქსელის გამართული მუშაობის მიზნით, ხორციელდება კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვირუსების გავრცელება და არასანქცირებულ ვებგვერდებზე წვდომა. აკადემიის მთლიან პერიმეტრზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (wifi), რომლის მართვას, დაცულობასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს აკადემიის კომპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერი. აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკი გამართულ/მუშა მდგომარეობაში არსებობა და კომუნიკაციების,ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდეტების/მსმენელებისათვის.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა გასაუბრება კომპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერთან და დადასტურდა მისი მაღალი კომპეტენცია. ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულების (სამსახურებრივი ბარათის) საფუძველზე დადასტურდა, რომ მის მიერ განხორციელებული იყო სამუშაო პროცესში ჩართულობა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა კომპიუტერული ტექნიკის შემოწმება და ტექნიკური გამართულობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

აკადემია უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. აკადემიას შემუშვებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა,რომელიც მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას. პოლიტიკა საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, მათ შორის მონაცემთა სუბიექტს ან/და პოტენციურ მონაცემთა სუბიექტს, მარტივ და გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია აკადემიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. აკადემიას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალურ მონაცემთან დაცვის ოფიცერი.თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, მოპოვებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

დაწესებულება სისტემატურად განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. დაწესებულებას შემუშვებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

აქვს კომპიუტერული და მატერიალური რესურსის შეფასების შიდა შეფასების სპეციალური ფორმა და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კომპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე ავსებს მდგომარეობის შეფასების მიზნით, რომელიც ფორმაში დადასტურებულია ხელმოწერით. დაწესებულების მიერ ასევე შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. რომელიც ითვალისწინებს აკადემიის IT მომსახურების შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა გამოკითხვის მიზნებისთვის შემუშავებული კითხვარები, იძლევა IT მომსახურებით, ინტერნეტზე წვდომით მათი კმაყოფილების შესწავლის შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია 5.2.1.1 ინდიკატორის აღწერა და ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.
   აკადემიას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი, რომელიც არეგულირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვისა და თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების ზოგად წესებს. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია, პროფესიული განათლების მასწავლებლის/განმახორციელებლის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/აღჭურვილობა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აკადემიის თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს თანაბარი უფლება აქვთ, ისარგებლონ აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

   ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება და აქვთ მზაობა ანალოგიურად ხელმისაწვდომი იყოს ის პროფესიული სტუდენტებისთვის

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.
   აკადემიაში დანერგილია ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის დროულ ინფორმირებას. სისტემა ეფუძნება აკადემიის საკუთარ დომენსა და ჰოსტინგს, რომლის ფარგლებში ფუნქციონირებს ოფიციალური ვებ-გვერდი, აკადემიის საერთო ელექტრონული ფოსტა და პერსონალის კორპორატიული საფოსტო მისამართები.პერსონალის ელ. ფოსტების გადამოწმებით დადასტურებულია დაწესებულებაში ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის დანერგვა და ფუნქციონირება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 იანავრის N2/14 ბრძანებით);
- დომეინისა და ჰოსტინგის ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის 26.01. N2/15ბრძანებით)
- ინტერნეტის ხელშეკრულება;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის N2/12 ბრძანებით) დამტკიცებულია;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგი;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დპსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

   აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი - კორესპონდენციის აღრიცხვის, ნუმერაციის მინიჭებისა და დაარქივების ერთიანი წესი. დოკუმენტების მიზანია დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა დოკუმენტაციის მომზადების, გაფორმების, გადამისამართების, აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვის წესის დანერგვა. აკადემიაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალურად და ელექტრონულად - საქმისწარმოების ელექტრონული ავტომატიზებული სისტემის (Eflow) საშუალებით. საქმისწარმოების წესის ანალიზით დადასტურებულია მისი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, რომლის ფუნქციები დარეგულირებულია დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით.

   ვიზიტის დროს გადამოწმდა შემოსული და გასული განცხადებებისა და სამსახურებრივი ბარათების, ხელშეკრულებების რეგისტრაცია, პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები და დადასტურებული საქმისწარმოების წესის დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.
   აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის - „ eFlow" -ის შესყიდვასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე აკადემია გეგმავს ყველა თანამშრომლისთვის მომხმარებლის ანგარიშების დამატებასა და სისტემაში სრულ ჩართვას. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები ჩართული იყვნენ აღნიშნულ სისტემაში.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.
   იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე დაწესებულება არაავტორიზებული სტატუსის მქონეა, არ არის ჩართული პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, თუმცა რეესტრის წარმოების ფუნქცია სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს აქვს დავალებული.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
   დაწესებულებას ჯერ აქვს მოპოვებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება, თუმცა ინტერვიუთი დადასტურებულია მზაობა, რომ დროულად მიაწვდიან ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და ითანამშრომლებენ მათთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემის eFlow შესყიდვასთა დაკავშირებით ხელშეკრულება;
- აკადემიი საქმისწარმოების წესი(დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N2/13 ბრძანებით);
- პასუხისმებელ პირებთან გასაუბრების შედეგი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი (ndacademy.ge) და სოციალური ქსელი (facebook – ND Academy) ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, იგი ასევე წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას (უკუკავშირის შესაძლებლობა).ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრუქტურა, მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ და სხვა.ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია. ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

   აკადემიის მისიაში საერთაშორისო თანამშრომლობა არ არის პრიორიტეტული და დაწესებულება არ გეგმავს უცხოენოვანი პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად, აკადემიის ვებგვერდი ქართულენოვანია.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, აკადემიის სტრუქტურისა და მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომელიც არეგულირებს დაინტერესებული პირების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებსა და მათი განხორციელების გზებს, აგრეთვე, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს სარწმუნო და არ იყოს შეცდომაში შემყვანი. არსებული რეგულაციისა და ვებ-გვერდის შესწავლით დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. აკადემიას შემუშავებული აქვს პრგორამების კატალოგი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ ანონსის სახით აღნიშნულია, რომ დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ გეგმავს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.
დაწესებულების წარმომადგენელთან განმარტებით, პროგრამების კატალოგი განახლდება ყოველწლიურად, აგრეთვე - პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. დაწესებულება უზრუნველყოფს კატალოგის რეგულარულ განახლებას აკადემიის სამომავლო საქმიანობისა და სიახლეების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ავტორიზაციის გავლისა და სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ, აკადემია პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან არხებს: ელექტრონულ ფოსტას, ვებგვერდს, სოციალურ ქსელებს, სატელეფონო კომუნიკაციასა და შენობის ღია სივრცეებს. საჭირო ინფორმაციის მიწოდება ასევე განხორციელდება ვერბალური გზით, აუდიტორიებსა და აკადემიის სივრცეში შეხვედრების ორგანიზების მეშვეობით.
აკადემია დაგეგმილი აქვს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების სისტემატური ანალიზი. აღნიშნულ უკუკავშირს წელიწადში ერთხელ გააანალიზებს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობით. მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება აკადემიის შემდგომი განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N2/14 ბრძანებით);
- ვებ- გვერდის დათვალიერების შედგეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერების შედეგი;
- პროგრამის კატალოგი;
- პახუსიხმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.
   შპს ენ დი აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რომელსაც ადასტურებს აკადემიის პროფესიული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი და ძირითადი ბიუჯეტი. აკადემიის ბიუჯეტში მოცემულია შემოსავლის ორი წყარო:დამფუძნებლის კონტრიბუცია და ვაუჩერული დაფინანსება ავტორიზციის მოპოვების შემდგომ.დათვლილია შემოსავლები და ხარჯები, რომლის მიხედვითაც აკადემია ფინანსურად მდგრადია.
   წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციით დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.
   აკადემიის ფინანსებზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსური და საბუღალტრო პროცესების დაგეგმვასა და მართვას. იგი ახორციელებს მიმდინარე საქმიანობის ფინანსურ ადმინისტრირებას, აკონტროლებს შემოსავლების მიზნობრივ ხარჯვას და პასუხისმგებელია ფინანსური რესურსების ეფექტურ განკარგვაზე. აკადემია ფლობს საოპერაციო ხარჯების დასაფარად საჭირო ფინანსურ რესურსს, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის უწყვეტობას.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.
   აკადემია აფასებს საკუთარ ფინანსურ მდგრადობას, გაწეულ ხარჯებს, შემოსავლებს და აანალიზებს ფინანსურბ მდგრადობას. ფაქტორების გათვალისწინებით გეგმავს სამომავლო ოპერაციებს.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.
   საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების მიზნით, აკადემია გეგმავს შემდეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავებას და დაინტერესებულ მხარეებთა უკუკავშირის გათვალისწინებას.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიის დირექტორის 2026 წლის 02 თებერვალს N2/18 ბრძანება (ცვლილებები ბრძანებაში: N2/27; 30 აპრილი 2026 წ.)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დავით სარაჯიშვილის N35ა.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	240

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

დასაბუთება

.....

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

შპს „ენ-დი-აკადემია“ წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებს“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N2/10 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგით“. დაწესებულების მისია ეფუძნება პროფესიული უნარებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიცირი, მრავალპროფილური მიმართულების მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. დაწესებულების სტრატეგიული გემის მეორე სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა/განვითარება, შესაბამისად „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას, ასევე გარემოს დაცვას, ნარჩენების მართვას და სხვ. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე – „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ – დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს პროგრამაზე მიღების ყველა ეტაპს – რეგისტრაციის გამოცხადებიდან პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. წესის თანახმად, დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც ფლობს საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ (ან მასთან გათანაბრებულ) დოკუმენტს და აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ სპეციფიკურ მოთხოვნებს. სასწავლო პროცესის ორგანიზება სრულად ეფუძნება ხსენებულ პროგრამას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებასა და დასახული სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის მექანიზმები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, გამჭვირვალედ და სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას, ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მისაღწევად და თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N 2/11 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობებს და განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა იმ ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაძლებელს ხდის ხარისხიანი განათლების მიღებას. პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში დაგეგმილია არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, წელიწადში 120 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” პროგრამისთვის განსაზღვრული ორ წელზე ჯამურად 240 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, აკადემიის მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია ორი A/C, ერთი A და ერთი B ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მოიცავს პროგრამის მატერიალურ რესურსებს შესაბამისი რაოდენობით. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ყველა საჭირო სასწავლო რესურსით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით". შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია - 2026 წლის 02 თებერვალს N2/18 ბრძანებით (ცვლილებები ბრძანებაში: N2/27; 30 აპრილი 2026 წ.).ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ და ადეკვატურად ასახავს მის შინაარსობრივ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებსა და პროფესიულ ორიენტაციას. იგი სრულ თანხვედრაშია დასახულ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და მოსალოდნელი კომპეტენციების სწორ აღქმას როგორც დაინტერესებული პირების, ისე პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან. პროგრამა აგებულია ლოგიკური თანმიმდევრულობისა და სისტემურობის პრინციპებზე, რაც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის სფეროსთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ეტაპობრივ განვითარებას. პროგრამა კომპლექსურად მოიცავს დარგისთვის არსებით კომპონენტებს, მათ შორის: ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელების, მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმებს, რაც პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მყარ საფუძველს ქმნის. მოდულების შინაარსი, სტრუქტურა და შესაბამისი სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია, რაც განაპირობებს მათ სრულ შესაბამისობას პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ სფეროსთან. ამასთანავე, პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზრის აქტუალურ მოთხოვნებზე, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას, წარმატებით დასაქმდნენ და განახორციელონ საქმიანობა უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მართვის მიმართულებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად დასაბუთებული, ზუსტი და რელევანტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულებაში პროფესიული განათლება განხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების - „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ - საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. პროგრამა ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს - „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ / Occupational Safety and Environmental Technology და სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ საკანონმდებლო და დარგობრივ მოთხოვნებთან.

პროგრამის კონცეფცია, სტრუქტურა და შინაარსობრივი ორგანიზება ორიენტირებულია თანამედროვე პროფესიული განათლების პრინციპებზე და უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი ცოდნის სისტემურ განვითარებას, ისე პრაქტიკულ გარემოში ეფექტიანი პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირებას. პროგრამის დოკუმენტაცია მოიცავს ყველა იმ ფუნდამენტურ კომპონენტს, რომელიც აუცილებელია პროგრამის მიზნობრივი, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული განხორციელებისთვის. კერძოდ, განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, მათი დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები და მექანიზმები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები, აგრეთვე პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვისა და განხორციელების მიდგომები.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია თანმიმდევრულობის, მოქნილობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ეფექტიან ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდულები - „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“, რომელთა მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების მომზადება პროგრამის ქართულ ენაზე სრულფასოვნად დასაძლევად. შესაბამისად, აღნიშნული მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის შესაბამისი კომპეტენცია. ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესი იწყება ქართული ენის მოდულების შესწავლით, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ ადაპტაციას, სასწავლო პროცესში სრულფასოვან ინტეგრაციასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა მოთხოვნები, პროფესიული სფეროს თანამედროვე გამოწვევები და დარგის განვითარების ტენდენციები, რაც პროგრამის შინაარსობრივ აქტუალობასა და პრაქტიკულ რელევანტურობას განაპირობებს. ამასთანავე, პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრულია დაწესებულებაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან ორგანიზებას, საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიან განაწილებასა და სწავლების პროცესის მდგრად განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის შინაარსობრივი ანალიზისა და ექსპერტთა ჯგუფთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. აღნიშნული გარემოება ადასტურებს პროგრამის აკადემიურ სანდოობას, ორგანიზაციულ გამართულობასა და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც შექმნილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულყოფილად განხორციელებას.
პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, სწავლების განხორციელებისათვის გამოყოფილია: ერთი A გარემო, ორი A/C გარემო და ერთი B გარემო.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ინვენტარით.
A გარემო - 30 ადგილი

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 30
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისათვის - 1
- დემონსტრაციის საშუალება -1
- დაფა - 1

A/C გარემო- 1 – 30 ადგილი

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 30
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისათვის - 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

- დემონსტრაციის საშუალება - 1
- დაფა - 1
- აღჭურვილი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით

A/C გარემო- 2 – 30 ადგილი

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 30
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისათვის - 1
- დემონსტრაციის საშუალება - 1
- დაფა - 1
- აღჭურვილი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით

B გარემო – 30 ადგილი

- სამუშაო ადგილი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტის - 30
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისათვის - 1
- დემონსტრაციის საშუალება - 1
- დაფა - 1
- პრინტერი (კომბაინი) – 1
- ფლეშმეხსიერება - 1

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ B გარემოს პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარიანობის უნარი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.
დაწესებულება „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით გეგმავს ყოველწლიურად ოთხი ჯგუფის მიღებას (30+30+30+30=120 პროფესიული სტუდენტი) სულ ორ წელზე 240 პროფესიული სტუდენტის მიღებას.
დაწესებულებას მოდულების - „გაცნობითი პრაქტიკა“ და „საწარმოო პრაქტიკა“ - განხორციელების ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ კომპანიებთან:
1.,,საქართველოს საპატრიარქოს იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი“ - 40 პროფესიული სტუდენტი;
2. შპს „ჯეო ისპექტი“ – 40 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

3. შპს „კარდიოლოგიური კლინიკა გული“ 40 პროფესიული სტუდენტი;
4. შპს „სეიფთი ლაბი ცენტრი“ – 40 პროფესიული სტუდენტი;
5. „საქართველო ისრაელის ბიზნეს ჯგუფი“ (ბპ ჯგუფი) – 40 პროფესიული სტუდენტი;
6. შპს „ქართული ცემენტი“ - 40 პროფესიული სტუდენტი;
7. შპს„ ჯეო სეიფთი“ – 40 პროფესიული სტუდენტი;
8. შპს „ნები ვაზისუბანი 2“ – 40 პროფესიული სტუდენტი;
9. შპს „სარეკლამო კომპანია ვესტა“ - 40 პროფესიული სტუდენტი.

ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ კომპონენტს გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. ინტერვიუს პროცესში კომპანიების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება და პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ წვდომა შესაბამის მატერიალურ რესურსებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განახორციელებს 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის - 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ დარგობრივ მოდულებში, ხოლო 6 - ზოგად მოდულებში. მასწავლებელთა რაოდენობა, მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების მოცულობის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობასთან.

აღსანიშნავია, რომ მოდულების განხორციელების უწყვეტობისა და პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას თითოეულ მოდულზე ჰყავს ორ-ორი განმახორციელებელი პირი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ და სტაბილურ განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით შესაბამისობაშია და პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ შესაბამისი პოზიციებისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პირადი საქმეების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელ პროფესიულ, დარგობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციებს. მათი პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაცია და პრაქტიკული საქმიანობა შესაბამისობაშია პროგრამის მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

ამასთანავე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია როგორც მოკლევადიანი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, ისე შესაბამის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხსა და პრაქტიკულ ორიენტაციაზე.
პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი სრულ შესაბამისობაშია მოქმედი შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით მოთხოვნებთან. ხელშეკრულებებით მკაფიოდ არის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა ფუნქციური მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ის მოდულები, რომელთა განხორციელებაზეც ისინი იქნებიან პასუხისმგებელნი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ გამართულობასა და აკადემიური პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას.
დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.3. მოთხოვნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია“ სრულადაა დაკმაყოფილებული.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს დაწესებულების დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი წარმართავს პროგრამის სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, ფლობს პროგრამის დარგობრივ ხედვას, აგრეთვე შესაბამის დარგობრივ და მენეჯერულ კომპეტენციებს. იგი პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესების კოორდინაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი პირადი საქმის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მას გააჩნია დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია. ამასთანავე, მისი კომპეტენცია და თანამდებობასთან შესაბამისობა დამატებით დადასტურდა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.2.1.4. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა აკადემიის ბიბლიოთეკისა და სამკითხველო სივრცის ვიზუალური დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით და სრულად არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. ნორმატიული და საკანონმდებლო კომპონენტების ეფექტიანად სწავლების მიზნით, დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს ავტორიზებული წვდომა სსიპ – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ელექტრონულ პლატფორმაზე (matsne.gov.ge).
დარგის ექსპერტის მიერ დეტალურად გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, რაც პროფესიულ სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტი, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და ისარგებლონ სამკითხველო დარბაზით. აქვე აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------
-- ----------

შეფასების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო-მატერიალური რესურსი სრულად პასუხობს დასახული სწავლის შედეგების მიღწევის საჭიროებებს.

საერთო ჯამში, კი ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიის ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში, რითიც ინდიკატორის 2.2.1.5. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მე-12 მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და შესაბამისი გარემოს შექმნის მექანიზმებს. ამავე დოკუმენტის მე-13 მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესს. აღნიშნული წესის თანახმად, „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრებისას დადასტურდა დაწესებულების სრული მზაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მისაღებად. აკადემიას გააჩნია ადაპტირებული სასწავლო გარემო და შესაბამისი რესურსები, რაც სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური სასწავლო პროცესის მოქმედი სტანდარტების დაცვით წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. გამომდინარე აღნიშნულიდან, ინდიკატორის 2.2.1.6. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი. რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია და ფინანსური გათვლები ორიენტირებულია 18 პროფესიული სტუდენტის მინიმალურ რაოდენობაზე, რომელთა შემოსავლი დათვლილია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების შესაბამისად.

ბიუჯეტის გასავლის ნაწილი კომპლექსურად მოიცავს პროგრამის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, კერძოდ: ადმინისტრაციულ ხარჯებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, პრაქტიკული კომპონენტისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მასალა-ნედლეული) უზრუნველყოფას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და წახალისების, რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების, კომუნალური, იჯარის, საპენსიო და სხვა გაუთვალისწინებელი ფინანსური ვალდებულებების დაფარვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრებისას ხაზი გაესვა პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. აღინიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად განახორციელებს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზს, რაც საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიული კორექტირებისა და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გადანაწილების შესაძლებლობას მისცემს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებუ;ია და აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვის სქემა;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

მოცემული ინდიკატორი ფასდება, მხოლოდ მექანიზმების დონეზე. აკადემის მიერ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პრგორამის შეფასების კომპონენტს, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით აკადემია:

ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;

ბ) ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას(პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმებს და ა.შ.).

შეფასება ტარდება გამოკითხვის/პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისა და კურსდამთავრებულთა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, აკადემიისს ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიისს დირექტორს.

ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერთან კომუნიკაციით დადასტურებულია მისი მაღალი კომპეტენცია და შესაძლებლობა წარმართოს პროცესები შემუშავებული რეგულაციების თანახმად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების,დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამაში ცვლილების შეტანის მექანიზმებს, მათ შორისაა პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N2/10 ბრძანებით);
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია: მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტი, სარეგისტრაციო N, მოდულის დასახელება, სასწავლო კვირა, საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათები. გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა, დაშვების წინაპირობები და პროგრამის სპეციფიკა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებას მოახდენს პროფესიული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, სასწავლო ცხრილების შედგენისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის საჭიროებებს. სასწავლო ცხრილების შედგენა მოხდება პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით.დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის მექანიზმები, ასევე დარეგულირებულია მოდულის სწავლის შედეგების გადაბარებისა და გასაჩივრების მექანიზმები.გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას ჯერ არ განუხორციელებია სწავლება, აღშნული ინდიკატორი მოწმდება რეგულაციისა და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**
სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რაც დასტურდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ფლობს აუცილებელ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით (პირადი საქმეებით) და მათთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგებით. აღნიშნული გარემოებები ქმნის მყარ საფუძველს იმისა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს თანამედროვე მეთოდოლოგიის სტანდარტების სრული დაცვით.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**
შპს „ენ დი აკადემია“ სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათთვის ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. აკადემიაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა შემთხვევაზე, მათ შორის: სტატუსის აღდგენის, მობილობის, სწავლის შედეგების აღიარების, სსსმ პირთა საჭიროებების დაკმაყოფილებისა და სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის თანაბარ შესაძლებლობას ყველა პროფესიული სტუდენტისთვის.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოდულების: ,,გაცნობითი პრაქტიკა“ და ,,საწარმოო პრაქტიკა“ ფარგლებში შემდეგ კომპანიებთან: 1.,,საქართველოს საპატრიარქოს იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი“(40პროფესიული სტუდენტი); 2. შპს ჯეო ისპექტი “(40პროფესიული სტუდენტი); 3. შპს კარდიოლოგიური კლინიკა გული (40პროფესიული სტუდენტი) 4. შპს სეიფთი ლაბი ცენტრი“(40პროფესიული სტუდენტი); 5. საქართველოს ისრაელის ბიზნეს ჯგუფის (ბპ) - (40პროფესიული სტუდენტი) 6. შპს ქართული ცემენტი (40პროფესიული სტუდენტი) 7. შპს ჯეო სეიფთი (40პროფესიული სტუდენტი); 8. შპს ნები ვაზისუბანი 2 (40პროფესიული სტუდენტი).
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოოპერაციული მიდგომით ხორციელდება. დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ როგორც აკადემიაში, ისე პარტნიორ დაწესებულებებში დაცულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი უსაფრთხოების ნორმები და მოთხოვნები
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

- პროგრამის პაკეტი (სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური რესურსების შესახებ დანართი);
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს ენ დი აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,(დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N2/07 ბრძანებით);
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
   სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, აკადემიაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. შეფასების პროცესისთვის პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოიყენებენ მხოლოდ ვალიდურ შეფასების ინსტრუმენტებს. ხოლო სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა შემოწმდება აკადემიაში ჩატარებული ვერიფიკაციის შედეგად.შეფასების სისტემა უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
   ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**
   აკადემიაში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც დეტალურადაა გაწერილია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი. შემოწმების შედეგად მზადდება შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები.
   ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------

აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ დაწესებულებას ჯერ არ ჰყავს პროფესიული სტუდენტები, შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენების პრაქტიკა ამ ეტაპზე არ არის ფორმირებული. თუმცა, წარმოდგენილი მექანიზმების (კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და უკუკავშირის სისტემები) საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულება გეგმავს შეფასების შედეგების გამოყენებას სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით. ასევე პროფესიული განათლების მასწავლელთა გასუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს ენ დი აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი(დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N2/07 ბრძანებით);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები(დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის N2/12 ბრძანებით);
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

29.06.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -- ----------

-- ----------